ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 24 დეკემბერი, 2021 | №244 (8773) | ფასი: 60 თეთრი

გვ.5

დაჯარიმდა საწარმო, რომელიც დასაქმებულისგან სელფის ითხოვდა

კომპანიას 318.026 ლარის ზედმეტობა უსაფუძვლოდ წარმოეშვა

გვ.5

„ნაცები პარლამენტს ვერ ელევიან, ხალხს კი საშიშლოდ მოუწოდებენ“

გვ.2

დავით ჭიჭინაძე: „თუ შერიგება ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის ხდება, ეს მათი პრობლემაა და შეუძლიათ შერიგდნენ“

„ეროვნული შერიგების იდეაში ბევრი რამ გაურკვეველია“

გვ.3

ანზორ აბრალავა: „ნაცმოძრაობა განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როცა აქტიურდება საქართველო-ნატოს ურთიერთობები“

„ინფლაცია შეჩერდება, მაგრამ ფასები არ დაიწევს“

ნიკა შენგელია: „ემიგრანტებმა ფულის გამოგზავნა გააორმაგეს და ამის გამო აღარ გაუფასურდა ლარი“

გვ.4

„უკრაინამ სააკაშვილი მოიშორა, „ოცნებამ“ კი თავის სასარგებლოდ გამოიყენა“



გვ.4

გიორგი გაჩეჩილაძე: „უკრაინაში რომ დაეპატიმრებინათ სააკაშვილი, ამას ქვეყანაში აჟიოტაჟი მოჰყვებოდა“

გვ.3

„ომი დოზით აცრა, ომიკრონთან მიმართებაში, არაეფექტურია“

ანი ქავთარაძე: „ომიკრონი ნაკლებად მომაკვდინებლად ითვლება, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანის ინფიცირება ხდება“

მარგველაშვილს სააკაშვილთან შეხვედრის უფლება მიეცა



გვ.2

ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარედ გახარია პარტიის წევრი შოთა წურწუმია აირჩიეს გვ.2

გვ.2

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ყველა რეგიონში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები კოვიდრეგულაციების დაცვით გაიმართება

ISSN 1987-9385

5 ადვოკატი: „7 ნოემბრის დარბევაზე სააკაშვილს ინსტრუქციები არ გაუცია“
პროკურორი: „თუ ეს ასეა, მერაბიშვილი რატომ დაავჭილდოვა?!“

5 „გოგა გზირიშვილი მის ცხეში დატოვებას ითხოვს“
ადვოკატ ჯანჯღავას განცხადება

6 ესპანეთში გარე სივრცეში პირბადეები სავალდებულო ხდება

6 დანიასა და ბელგიაში კინოთეატრები იხურება

„ნაცები პარლამენტს ვერ ელევიან, ხალხს კი საშიმშილოდ მოუწოდებენ“

დავით ჭიჭინაძე: „თუ შერიგება ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის ხდება, ეს მათი პრობლემაა და შეუძლიათ შერიგდნენ“

ნათია ხურცილავა

პარტია „ტრიბუნას“ ლიდერი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, ერთი მხრივ პრეზიდენტ ზურაბიშვილის მცდელობა შერიგებაზე თუ თანხმობაზე და მეორე მხრივ „ნაციონალური მოძრაობის“ მასობრივი შიმშილობა, თქვენი აზრით, რა შედეგს მოიტანს?

– რაც შეეხება შერიგების იდეას, მე ვთვლი, რომ ეს პროცესი ხალხის ნდობით აღჭურვილ ინსტიტუტთან, ეკლესიასთან შეთანხმებით უნდა წარიმართოს. ერთგვარი შუამავლის ფუნქცია მას უნდა ჰქონდეს.

შერიგება ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“ შორის თუ ხდება, ეს მათი პრობლემაა და შეუძლიათ შერიგდნენ. ამ ქვეყანას ცხრა წელიწადია ატყუებენ ფსევდოდაპირისპირებით.

– ფსევდოა მათი დაპირისპირება?

– სხვა რა გამოდის, როდესაც პოლიტიკურად ერთმანეთს ასე ასულდგმულებენ! იმ პოლიტიკოსებს, რომლებსაც მართლა ცვლილებები უნდათ ამ ქვეყნის საკეთილდღეოდ, მათ შანსს არ აძლევენ.

რიგითი ადამიანები, რომლებიც შიმშილობით თავს დებენ, საკუთარ ჯანმრთელობას წირავენ, მათ სწამთ და ძალიან სერიოზულ ნაბიჯს დგამენ ამ აქტით, მაგრამ პოლიტიკოსი რომ ხარ და ადამიანები შიმშილობისკენ მიგყავს, ეს, არ მგონია, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება იყოს. ბრძოლის მთავარი იარაღი შიმშილობა არ უნდა იყოს, მით უფრო მაშინ, როდესაც ამ პარტიის უმრავლესობა პარლამენტის დატოვებას ვერ ელევა. ნაციონალური მოძრაობა მთელ ამ პროცესში ძალიან არათანმიმდევრული აღმოჩნდა. როგორც ჩანს, გუნდში საკმაოდ სერიოზული დაბნეულობაა.

პოლიტიკური ძალა, რომელიც მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობს, მაგრამ მანამდე გასავლელ გზას ვერ სახავს და ხალხს ვერაფერს ახალს ვერ სთავაზობს შიმშილობის გარდა, არ მგონია წარმატებული იყოს. „ქართული ოცნების“ იმედად ყოფნა კი, რომ მათ სინდისი შეაწუხებთ, ამდენი ხალხი შიმშილობს, რბილად რომ ვთქვა, გულუბრყვილობაც არ არის.

ამ ქვეყანას ახსოვს ძალიან სერიოზული შიმშილობები, მაგრამ მაშინ იდეა იყო უპირველესი, მაშინ ქვეყნის დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იყო უზენაესი მიზანი, რომლისთვისაც ადამიანები არათუ შიმშილობდნენ, სიცოცხლესაც დაუფიქრებლად სწირავდნენ.

– თითქოს ვადამდელი არჩევნების საკითხი უკანა პლანზეა გადაწეული. ოპოზიცია რეალობას ურიგდება?

– ამ პოლიტიკურ ძალებს იმედი ჰქონდათ, რომ მათ მაგივრად ამ საქმეს დასავლეთი გააკეთებდა, მაგრამ ეს მესიჯები იქიდან ვერ მიიღეს. თან პარლამენტში იყო, თან პრეზიდენტს წვეულებაზე შამპანურის ბოკალს უჭახუნებდე, თან ხალხს ქუჩაში ეძახდე, მოდი, შეცვალე და მე მომიყვანე ხელისუფლებაში, ასე არ გამოდის.

– გიორგი გახარიას გამოჩენაზე უნდა გკითხოთ. მან უპასუხა პრესის კითხვებს, თავისი პოზიცია დააფიქსირა მიმდინარე საკითხებზე. როგორ ფიქრობთ, რატომ არ არის პოლიტიკურად აქტიური?

– სიმართლე გითხრათ, მის გზავნილებს – პარლამენტში და საკრებულოებშია მუშაობა საჭირო, მე ვერანაირად ვერ გავიზიარებ. ვხედავთ, ოპოზიცია არის წარმოდგენილი პარლამენტში, მაგრამ არაფერი არ იცვლება არც პარლამენტში და არც არსად. ის, რასაც ახლა ვუყურებთ, არის – ოთხი წელიწადი „ქართული ოცნება“ კიდევ იყოს ხელისუფლებაში.

– დღეს ეს მოცემულობაა?

– რა თქმა უნდა. ოთხი წლის შემდეგ არჩევნები რომ მოახლოვდება, ისევ სააკაშვილსა და ნაციონალურ მოძრაობაზე დაგვიწყებენ ლაპარაკს. ისევ გვეტყვიან, მათ ხომ ვჯობივართ და ისევ მოინდომებენ ხელისუფლებაში ყოფნას. ამ რეალობაში ვართ და ეს რეალობა იქნება ოთხი წლის შემდეგაც.

გახარიას რომ დავუბრუნდე, მას საკმაოდ სერიოზული შედეგი ჰქონდა ამ არჩევნებზე. მას უნდა მოეხდინა ამ შედეგის უფრო გამყარება და დაფიქსირება თავისი აქტიურობით და არ იმ პასიურობით, რომელსაც დღეს მისი პარტია ეწევა. გახარიამ გვითხრა: არაფერი მნიშვნელოვანი პოლიტიკაში არ ხდებაო. ეს ნამდვილად არ არის პოლიტიკოსის განცხადება. თუ თვლის, რომ სააკაშვილმა გადაფარა, მაშინ უნდა მოეხდინა იმ პოლიტიკური ძალების მობილიზება, რომლებიც თვლიან, სააკაშვილი არ უნდა იყოს ქვეყანაში მთავარი თემა. ასეთი ძალები არიან ქვეყანაში და ერთ-ერთი ინიციატორი ამ ძალების მობილიზების გახარია უნდა ყოფილიყო. მას შეეძლო ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაედგა, ეს მას მხარდამჭერებსაც გაუზრდიდა და პოლიტიკურ პროცესში მრავალფეროვნებასაც ხელს შეუწყობდა.

– ეს შანსი გაშვებულია?

– არა მგონია. უნდა შეეცადოს გამოასწოროს.

პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ყველა რეგიონში დაგეგმილი საახალწლო ღონისძიებები კოვიდრეგულაციების დაცვით გაიმართება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 24 დეკემბრიდან 8 იანვრის ჩათვლით, საქართველოს ყველა რეგიონში საახალწლო ღონისძიებები გაიმართება. 63-ვე მუნიციპალიტეტში მოეწყობა საშობაო ბაზრობები, გამოფენა-გაყიდვები, საბავშვო გასართობი სივრცეები. ტერიტორიაზე განთავსდება ხის საახალწლო სახლები, ფოტოგადასაღები სტენდები და ინსტალაციები. მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ პატარებს თოვლის ბაბუა ტკბილეულსა და საჩუქრებს გადასცემს.

საღამოს საათებში გაიმართება როგორც ადგილობრივი, ისე დედაქალაქიდან მოწვეული შემსრულებლების კონცერტები. ღონისძიებები დასრულდება საზეიმო ფოიერვერკით.

ღონისძიებები გაიმართება შემდეგი განრიგით:

24 დეკემბერი – მესტია, ტყიბული, თელავი;
25 დეკემბერი – ოზურგეთი, ნინოწმინდა, ქარელი, დუშეთი;
26 დეკემბერი – მარნეული, ჩხოროწყუ, თერჯოლა, გურჯაანი;
27 დეკემბერი – საჩხერე, ხაშური, ახალქალაქი, ქობულეთი;
28 დეკემბერი – აბაშა, სამტრედია, ლაგოდეხი, თეთრიწყარო;
29 დეკემბერი – ასპინძა, ხელვაჩაური, კასპი, ამბროლაური, ჭიათურა;
30 დეკემბერი – ქუთაისი, დედოფლისწყარო, გარდაბანი, თიანეთი;
31 დეკემბერი – ზუგდიდი, ბორჯომი, ცაგერი;
1 იანვარი – ბაღდათი;
2 იანვარი – წალკა, ახმეტა, ქედა, ონი, ყაზბეგი, წყალტუბო;
3 იანვარი – სენაკი, ვანი;
4 იანვარი – ხონი, რუსთავი, შუახევი, ადიგენი, ყვარელი;
5 იანვარი – ზესტაფონი, ხობი, დმანისი, წნორი, სიღნაღი;
6 იანვარი – მარტვილი, ხულო, ბოლნისი;
7 იანვარი – ლენტეხი, ფოთი, წალენჯიხა, საგარეჯო, ახალციხე, მცხეთა, გორი;
8 იანვარი – ხარაგაული;
13 იანვარი – ლანჩხუთი, ჩოხატაური.

ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარედ გახარიას პარტიის წევრი შოთა წურწუმია აირჩიეს

ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარედ გიორგი გახარიას პარტია „საქართველოს“ წევრი შოთა წურწუმია აირჩიეს.

მას მხარი ოპოზიციამ დაუჭირა.

კენჭისყრაში 15 დეპუტატი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ლელოს“ და პარტია „საქართველოს“ წევრები მონაწილეობდნენ. 15-დან წურწუმიამ 14 ხმა მიიღო, 1 ბიულეტენი კი ბათილი იყო.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ „ქართული ოცნების“ წევრებს, თუმცა ისინი დარბაზში იმყოფებოდნენ და კოლეგებს სხდომის გადადებისკენ რამდენიმეჯერ მოუწოდეს. მოწოდებებს მცირე სიტყვიერი დაპირისპირებაც მოჰყვა. ჩხოროწყუს საკრებულოზე 27 წევრია, შესაბამისად, შოთა წურწუმიამ 50%-ზე მეტი ხმა მიიღო.

მარგველაშვილს სააკაშვილთან შეხვედრის უფლება მიეცა

გიორგი მარგველაშვილს მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის შესაძლებლობა მიეცემა.

განცხადებას სპეციალური პენიტენციური სამსახური ავრცელებს

სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის მოთხოვნა დააკმაყოფილა. შესაბამისად მას შესაძლებლობა მიეცემა გორის სამხედრო ჰოსპიტალში მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილს შეხვდეს.

გიორგი მარგველაშვილმა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის მიზნით შესაბამისი განცხადებით 20 დეკემბერს მიმართა. სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მოთხოვნა დააკმაყოფილა, რადგან მედპერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეხვედრის გამართვის შესაძლებლობას იძლევა და სამსახურს წინააღმდეგობრივი პოზიცია არ გააჩნია.

– აქვე დამატებით განვმარტავთ, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახური მაქსიმალურად ცდილობს თითოეულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს შეუწყოს ხელი კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებების სრულყოფილად რეალიზებაში, – ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-მ ფაიზერის ანტიკოვიდური აბი, პაქსლოვიდი, დაამტკიცა

ამერიკელმა მარეგულირებელმა მწვანე შუქი აუნთო „ფაიზერის“ ანტივირუსულ პრეპარატს, სახელად „პაქსლოვიდი“. ეს პირველი აბია, რომელიც შეერთებულ შტატებში სურსათის და მედიკამენტების ფედერალურმა ადმინისტრაციამ კოვიდ-19-ის სამკურნალოდ დაამტკიცა.

„პაქსლოვიდის“ მიღება შინ, სამედიცინო პერსონალის დახმარების გარეშე, ორალური გზით შეიძლება. სამეცნიერო კვლევების მიხედვით, „ფაიზერის“ ანტივირუსული აბები მაღალი რისკის პაციენტებში, ჰოსპიტალიზაციის და სიკვდილობის პრევენციის საქმეში, თითქმის 90%-იან ეფექტიანობას აჩვენებს.

პრეპარატი ასევე ინარჩუნებს ეფექტიანობას ვირუსის ძლიერ სახეცვლილი ვარიანტის, სწრაფი გავრცელების უნარის მქონე ომიკრონის წინააღმდეგ. „ფაიზერის“ განცხადებით, მათი აბები მედიკამენტთა იმ კლასს მიეკუთვნება, რომლებიც უკვე გამოიყენება შიდსის, ცე-ჰეპატიტის და სხვა დაავადებათა სამკურნალოდ.

ბრიტანეთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ნოემბერში, კოვიდ-19-ის სამკურნალო პირველი ანტივირუსული აბი დაამტკიცა. ეს იყო კომპანია „მერკის“ პრეპარატი „მოლნუპირავირი“. მას უნიშნავენ მცირე და საშუალო სიმწვავის სიმპტომების მქონე პაციენტებს და მათ, ვისაც მწვავე დაავადების განვითარების სულ ცოტა, ერთი რისკფაქტორი მაინც აქვს.

აშშ-ს წინასწარ აქვს კონტრაქტი დადებული, როგორც „ფაიზერთან“, ისე „მერკთან“.

„ფაიზერმა“ ვაშინგტონს 10 მილიონი სამკურნალო კურსისთვის საჭირო რაოდენობის აბი უნდა მიყიდოს, „მერკმა“ კი – 5 მილიონი აბი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ეროვნული შერიგების იდეაში ბევრი რამ გაურკვეველია“

ანზორ აბრალავა: „ნაცმოძრაობა განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როცა აქტიურდება საქართველო-ნატოს ურთიერთობები“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე რთულ პროცესებზე და მის ფარგლებს გარეთ არსებულ დაძაბულობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

– ნაციონალური მოძრაობის წევრებისა და მხარდამჭერების მიერ წამოწყებულ მასობრივ შიმშილობის აქციას როგორ უყურებთ?

– ეს არის ნამდვილი მასობრივი ფსიქოზი. ბევრი მონაწილე, უბრალოდ, აყოლილია პროცესებს. არ მინდა პატიმარზე ყველაფერი ვილაპარაკო და მას იმაზე მეტი მოხვდეს, ვიდრე იმსახურებს. იმას ვიტყვი, რომ ეს ხალხი გაართულებს თავიანთ ლიდერ სააკაშვილის სულიერ მდგომარეობას. ყოფილ პრეზიდენტს რომ ჯანმრთელობის პრობლემები აქვს, ამაზე მისი გარემოცვა და მკურნალი ექიმებიც საუბრობენ.

– მომხრეები რანაირად გაურთულებენ მდგომარეობას?

– მომხრეები სააკაშვილს არასწორ წარმოდგენებს უქმნიან და ილუზიებში აგდებენ. ვფიქრობ, რომ ეს გაგრძელდება, რას გააუარესებს სააკაშვილის მდგომარეობას.

– გავრცელებული ინფორმაციით, თავად სააკაშვილმა მოითხოვა ნაცმოძრაობისაგან შიმშილობის აქცია და მას დაფინანსების შეწყვეტით დაემუქრა.

– ასეც რომ იყოს, გარემოცვა მაინც არასწორად ექცევა ადამიანს, რომელსაც ისედაც გადაჭარბებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ამაზე ბევრად საყურადღებო და ნიშანდობლივია სხვა რამ. ეს არის პროტესტის შერჩევის დრო. ნაცმოძრაობა განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როცა აქტიურდება საქართველო-ნატოს ურთიერთობები. ეს პირდაპირ რუსეთის ინტერესია. საქართველოში ბოლო დროს ჩაიშალა სახელმწიფო გადატრიალება. რევოლუცია სხვაა. მე ვლაპარაკობ სახელმწიფო, სამხედრო გადატრიალებაზე. ამის ორგანიზატორია რუსეთი, რომელიც იყენებს ქართველ ვითომ ოპოზიციონერ პოლიტიკოსებს. ამის პარალელურად, ვხედავთ, რას აკეთებს კრემლი უკრაინაში. უკრაინის საზღვართან მობილიზებულია რუსული სამხედრო შენაერთები.

– რუსეთი და აშშ, ასევე ნატო აგრძელებენ ძალიან მწვავე განცხადებებსა და ულტიმატუმებს ერთმანეთის მისამართით.

– სწორედ ამის თქმას ვაპირებდი. იმ დროს, როცა ვითარება უკიდურესად დაიძაბა, როცა ისევ გააქტიურდა საუბარი საქართველოს ინტეგრაციაზე ნატოში, ვიღებთ ახალ პროტესტს.

– სახელმწიფო გადატრიალება ჩაიშალაო თქვით და მომავალში რას ელით?

– ჩაიშალა, მაგრამ სახელმწიფო გადატრიალება რუსული სცენარით დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ჩვენმა ე. წ. მთავარმა ოპოზიციამ რიტორიკა და ქმედებები შეცვალა – მშვიდობიანი პროტესტი გააძლიერა, ასევე შერიგებაზე ალაპარაკდა. თუმცა, ნაცმოძრაობასთან რა შერიგებაა მოსალოდნელი! ნაცმოძრაობასთან დგას პოლიტიკური წვრილფეხობა, რომელსაც საკუთარი ჯიბისა და ვიწრო ამბიციების გარდა, არაფერი აღელვებს. ესენი ერთად ახორციელებენ ანტისახელმწიფოებრივ მოქმედებებს. დასახული გეგმის სისრულეში მოსაყვანად ნაცმოძრაობა და მის გარშემო შეკრებილი ბანდა ყველა ინსტრუმენტს გამოიყენებს – შიმშილობას, ტყუილსა და მართალს, დიდ ფულს. ამათ სინდისი არ გააჩნიათ და ტიგრან გულოიანის პრინციპით ხელმძღვანელობენ. გულოიანი ამბობდა, ხელი დაადეთ იმ კაცს, შემრცხვება თუ არა, მერე ვნახავთო. არაფრის არ რცხვენიათ. დემოკრატიულ ლოზუნგებსაც იყენებენ, ანტირუსულ ფრაზეოლოგიასაც.

– მდგომარეობა შინ და გარეთ რთულია. პროცესების განვითარების როგორ სცენარს ელით?

– ძალიან ცუდი მოვლენები შეიძლება მოხდეს. ჩვენდა საუბედუროდ, რუსეთი შემოსულია საქართველოში. თბილისიდან 20 კილომეტრში დგას. მოსკოვი კიდევ იმუქრება. აშშ, ნატო მას პასუხობენ. საქართველოსთვის

ეს არ კმარა. კარგია, რომ აღიარებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავრჩეთ რუსეთის პირისპირ.

– ცუდ მოვლენებში გულისხმობთ სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობას?

– ისეთი რეალობა შეიქმნა, რომ ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. რუსეთი გადავიდა სხვა ნაბიჯებზე. ის აგრესიულად და თვისი გაგებით, პრაგმატულად იქცევა. ასეთ ვითარებაში საქართველოს დასავლეთის მხარდამჭერი განცხადებები არ ეყოფა. ჩვენ უკრაინაზე უარეს დღეში ვიმყოფებით.

– რანაირად?

– რუსები და უკრაინელები მონათესავე, ფაქტობრივად, ერთი ხალხია. რუსეთი უკრაინის მიმართ, ალბათ, სხვანაირად მოიქცევა. ჩვენ ჩვენს გარშემო არავინ გვყავს. რუსეთს ოკუპირებული აქვს ჩვენი ორი რეგიონი. საქართველოს დასავლეთის პრაქტიკული თანადგომა ესაჭიროება. ეს უნდა იყოს თამამი, პრაქტიკული ქმედებები. მაგალითად, ბლიცკრიგი კონფლიქტურ რეგიონებში.

– ძალიან თამამი გამოსავალია.

– აბა, ლაპარაკის გაგრძელება ნატოში მიღებაზე გაჭიანურდა. საქართველო სამაგალითო იყო საერთაშორისო მისიებში. ავღანეთში დაიხოცნენ ჩვენი ბიჭები. დასავლეთმაც უნდა გაიგოს, რომ საქართველოს ბედი ახლა ბეწვზე ჰკიდია და პრაქტიკულად დაგვეხმაროს.

– რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ ეროვნულ თანხმობას?

– არა მგონია, ამან რაიმე შედეგი იქონიოს. ეს ჰგავს ბუტაფორიას. ახლანდელი ეროვნული შერიგების იდეაში ბევრი რამ გაურკვეველია. ვინ ვის ურიგდება?! თუ შეთანხმებაა, ყველა უნდა შეთანხმდეს მოქმედებებზე კონსტიტუციურ ჩარჩოებში. 2000 წლის 20 აპრილს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ეროვნული თანხმობის შესახებ. იქ ყველაფერი გასაგები იყო. აქ – არა. საერთოდ, თუ რომელიმე პარტია არღვევს კონსტიტუციურ წესრიგს, ამაზე უნდა იყოს რეაგირება. ნაცმოძრაობამ არაერთხელ დაარღვია ეს წესრიგი. ახლა მშვიდობიანად შიმშილობენ. წარმოიდგინეთ, ამის პარალელურად სხვა მშვიდობიანი შიმშილობაც რომ დაიწყოს, რა იქნება?!

– მათი მოწინააღმდეგეების აქცია?

– სააკაშვილის მმართველობის დროს ძალიან ბევრი ადამიანი დაზარალდა და გაუბედურდა. ისინიც ადგებიან და დაიწყებენ შიმშილობას სააკაშვილის ციხეში სამუდამოდ დატოვების მოთხოვნით.

– ნაცმოძრაობა სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით შიმშილობს. ეს შეუძლებელია?

– ამ დროს იკარგება სამართლებრივი იდეა, კანონიერება. არავის ნიშნს არ ვუგებ, მაგრამ პენიტენციურ სისტემაში სასჯელს იხდის უამრავი მოქალაქე, რომელსაც სააკაშვილზე ნაკლები დანაშაული აქვს ჩადენილი. ისინიც ჩათვლიან, რომ შიმშილობა გაათავისუფლებს. როცა პარტია გამოდის კანონიერი ჩარჩოებიდან, როცა ის არღვევს კონსტიტუციურ წესრიგს, იქცევა ანტისახელმწიფოებრივად, ხელისუფლებას ამაზე რეაქცია უნდა ჰქონდეს. ასეთი პარტიების საქმიანობა უნდა აიკრძალოს. ასეთი პარტიაა ნაციონალური მოძრაობა.

„ორი დოზით აცრა, ომიკრონთან მიმართებაში, არაეფექტურია“

ანი ქავთარაძე: „ომიკრონი ნაკლებად მომაკვდინებლად ითვლება, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანის ინფიცირება ხდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექიმი-რეანიმატოლოგი ანი ქავთარაძე პასუხობს.

– ანი, კორონავირუსის ახალი შტამი ომიკრონი ჩვენს ქვეყანაშიც დაფიქსირდა. ვიცით, რომ ეს ვირუსი ძალიან სწრაფად ვრცელდება. რამდენად მომზადებულები ვხვდებით? მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც მინისტრიც არ ყავს ქვეყანას და, საერთოდ, რა ხდება ჯანდაცვის სისტემაში?

– ჯანდაცვის სისტემაში ზუსტად იმ ტემპით გრძელდება ყველაფერი, როგორც აქამდე. ფაქტიურად ვერ ვხედავთ ეფექტურ ნაბიჯებს, რომელსაც ეს სისტემა დგამს თუნდაც ახალი შტამის პირობებში. ახალი შტამი უკვე დაფიქსირდა ქვეყანაში და მოლოდინის რეჟიმში აღარ ვართ. ვიცით ისიც, რომ მაღალი აქვს ვირულენტობა ამ შტამს, ზედა სასუნთქ გზებში 70-ჯერ უფრო მეტად მრავლდება, ვიდრე ქვედა სასუნთქ გზებში და, შესაბამისად, ინფიცირებული ადამიანი გარშემომყოფებს უფრო სწრაფად და მარტივად აინფიცირებს. აქედან გამომდინარე, ვიცით ისიც, რომ მოკლე პერიოდში გვეყოლება ძალიან ბევრი ინფიცირებული, განსხვავებით წინა შტამებისგან. შესაბამისად, ქვეყანას დღევანდელ დღემდეც უნდა გადაედგა საკმაოდ ხისტი და ორგანიზებული ნაბიჯები, რომელიც ვერ ვნახეთ.

– ხისტ ნაბიჯებში რას გულისხმობთ?

– პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ რეგულაციების დაცვის გამკაცრებას, აღსრულების ნაწილს ვგულისხმობ, განსაკუთრებით პირბადის ტარების ნაწილში. ტრანსპორტი იქნება ეს თუ სხვა სივრცეები, რომელსაც საერთოდ აღარ აქცევენ ყურადღებას, უკვე კარგა ხანია, ფაქტიურად ზაფხულის შემდეგ. პირბადის ტარების მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ასევე ვერ ვხედავ ჯანდაცვის რგოლების მზაობას ინფიცირებული ადამიანების სამართავად. პირველ რიგში, ეს არის პირველადი ჯანდაცვის რგოლი, რომელზეც აუცილებლად გაიზრდება დაწოლა, იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად ამ შტამით ინფიცირებულები ამბულატორიულად სამართავი პაციენტები იქნებიან და მეორე მხრივ, ჰოსპიტალური სექტორი. მისი გადატვირთვაც მოსალოდნელია იქიდან გამომდინარე, რომ დროის მოკლე პერიოდში გვეყოლება დიდი რაოდენობით ინფიცირებული. რა თქმა უნდა, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც

აქვთ სხვადასხვა ქრონიკული დაავადებები და ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია იყოს მოსალოდნელი ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლების გაზრდაც.

– ანი, საუბარია იმაზეც, რომ სრულად აცრილად არ ჩაითვლება ის პირი, თუ ბუსტერი არ ექნება გაკეთებულიო. ასევე საუბარია იმაზეც, რომ ფაიზერის ვაქცინას ვადა გაუვიდა და ეს უნდობლობას იწვევს. ამ ყველაფერთან დაკავშირებით რას იტყვით? ან ახალი პარტიის შემოტანა როდის იგეგმება?

– ამაზე სახელმწიფო სტრუქტურებმა და დაავადების კონტროლის ცენტრმა უნდა გიპასუხოთ. რაც შეეხება არსებული ვაქცინების ვადებს, ვადიანია აბსოლუტურად ყველა, იმიტომ, რომ სხვადასხვა პარტია იყო ჩვენთან შემოტანილი. ნაწილს გასდის დეკემბერში ვადა, დანარჩენს იანვარსა და თებერვალში. ამიტომ ქვეყანაში არსებული ვაქცინები ვადიანია. რაც შეეხება ბუსტერს და სამჯერადად ვაქცინაციას, გარკვეული კვლევები გვიჩვენებს, რომ ორი დოზით ვაქცინაციის შემთხვევაში, ომიკრონთან მიმართებაში არაეფექტურია და, შესაბამისად, საჭიროებს მესამე დოზას თუკი დომინანტური ომიკრონი გახდება ჩვენს ქვეყანაში, ისე, როგორც ბევრ ქვეყანაში გახდა უკვე. მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ორი დღის წინ უკვე განაცხადა, რომ ომიკრონი არის დომინანტი შტამი, ამ შტამთან მიმართებაში სწორედ რომ სამი დოზაა საჭირო.

– ისრაელმა რომ მეოთხე დოზით ვაქცინაცია დაიწყო? ამირან გამყრელიძეც არ გამორიცხავს, რომ შესაძლოა ჩვენც დაგვჭირდეს მეოთხე დოზაო. რატომ გახდა მეოთხე დოზა საჭირო ისრაელში?

– იქიდან გამომდინარე, რომ ისრაელმა გაცილებით ადრე დაიწყო ვაქცინაცია და ვიცით, რომ ამ ვაქცინების შემთხვევაში 5-6 თვის შემდეგ ანტისხეულების ტიტრი იკლებს. ჩვენ არ დაგვისრულებია პანდემია და როდესაც მოდის ახალი შტამი, მზადყოფნა გვჭირდება.

– ანუ, ვაქცინა ვერ გვიცავს 6 თვეზე მეტს?

– დიახ, სავარაუდოდ ასეა, ვინაიდან ამ პერიოდის გასვლის შემდეგ მცირდება ანტისხეულების ტიტრი და იმუნური პასუხიც გაცილებით უფრო სუსტია. მანამდე, ვიდრე ჩვენ ვართ რისკის წინაშე, რომ ქვეყანაში გვქონდეს ახალი შტამები და ტალღები, სწორედ ამიტომ გვჭირდება ახალი ვაქცინაცია. ისრაელი ამის ნათელი მაგალითია. მათ უკვე დაუდგათ საჭიროება მეოთხე დოზაზე საუბრის. რა თქმა უნდა, იგულისხმება ის ხალხი, ვინც ვაქცინირებულია, თორემ დაახლოებით 70% ჩვენ არავაქცინირებული გვყავს და ეს კიდევ უფრო მეტი პრობლემაა. უფრო ზუსტად, ყველაზე დიდი პრობლემა, რაც ქვეყანაში გვაქვს. თორემ ისრაელი თავის თავს ნამდვილად უშველის და უშველა კიდევაც. ისრაელში ერთ მილიონ მოსახლეზე 800-მდეა გარდაცვალება და ჩვენთან 3500-ზე მეტია ერთ მილიონ მოსახლეზე. ეს უკვე ნათელი მაგალითია და კარგად გვაჩვენებს, თუ როგორ მუშაობს ვაქცინაცია პანდემიის პერიოდში.

– ანი, საუბარია, რომ ომიკრონი მკვლელი ვირუსი არ არის დელტა შტამისგან განსხვავებითო. რამდენად დამაიმედებელი პროგნოზები მოდის?

– 40 წლამდე ადამიანებს აინფიცირებს განსაკუთრებით ინტენსიურად, მათ კონტაქტებიც მეტი აქვთ და გავრცელებაც უფრო სწრაფად ხდება. ამ პოპულაციაში სიმპტომები შედარებით მსუბუქად მიმდინარეობს და ინკუბაციის პერიოდი არის შემცირებული, განსხვავებით სხვა შტამებისგან. მაგალითად, კონტაქტიდან მეოთხე მეხუთე დღეს უკვე შესაძლებელია სიმპტომი გამოვლინდეს. ნაკლებად მომაკვდინებლად ითვლება, მაგრამ საშიშია და საფრთხილო იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან ბევრი ადამიანის ინფიცირება ხდება და მათი მართვა რთულდება, მით უმეტეს, ამ ადამიანებში თუკი არიან ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანები. ასევე, თუკი ამას დავამატებთ არავაქცინირებულობის ძალიან მაღალ პროცენტს, რა თქმა უნდა, რისკები ერთიორად იზრდება. იმ ქვეყნებში, სადაც ვაქცინაციის მაღალი მაჩვენებელია, იქ გაცილებით მსუბუქად მიმდინარეობს, ვიდრე იქ, სადაც ნაკლებია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რისკები გვაქვს ძალიან მაღალი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ დღესასწაულები მოდის და ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე თავშეყრებს ექნება ადგილი. უნდა გავაფრთხილოთ მოსახლეობა, რომ მაქსიმალურად თავი შეიკავონ, რადგან ძალიან მაღალი გავრცელება გვექნება.

– საუბარია იმის შესახებ, რომ ამ ახალი ომიკრონის შტამის შემთხვევაში კოვიდ სასტუმროები და საველე ჰოსპიტლები აზრს კარგავს. უბრალოდ ეს კორუფციის ბუდეა და მეტი არაფერიო. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას? თუკი მართლა ასე სწრაფად ვრცელდება, აქვს აზრი ინფიცირებულის კოვიდსასტუმროში გადაყვანას?

– ამაზე დღესაც იყო საუბარი, რომ იმ ორმა ადამიანმა, ვისაც პირველი დაუდასტურდა ეს ვირუსი, ვისთანაც შეხება ჰქონდათ, აბსოლუტურად ყველა დააინფიცირა, მაშინ კოვიდსასტუმროში იზოლირებას ალბათ მართლა აზრი არ აქვს.

– რამდენად იქცა კორუფციის ბუდედ კოვიდსასტუმროები? რამდენად ჭარბად არის დღეს ჯანდაცვის სისტემაში კორუფცია?

– ამის შესახებ არ მაქვს ინფორმაცია და ამიტომ მიჭირს კომენტარის გაკეთება. თეორიულად, რა თქმა უნდა, შესაძლებელია, მაგრამ ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.

– ამჟამად ჯანდაცვის მინისტრი არ ყავს ქვეყანას, პანდემიის დროს ასე უპატრონოდ მიატოვეს ეს სისტემა. ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, ვინ შეიძლება დაინიშნოს ამ თანამდებობაზე?

– არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ და ჩვენც დიდი ინტერესით ველოდებით, თუ ვინ იქნება ახალი ჯანდაცვის მინისტრი. ამ სიტუაციაში, ასეთ კრიზისულ პერიოდში ასე უპატრონოდ მიტოვება ჯანდაცვის სისტემის, ნამდვილად გასაოცარია. პირიქით, გაცილებით სწრაფად უნდა მომხდარიყო ახალი მინისტრის დანიშვნა. ახლა კი ძალიან გაურკვეველი სიტუაცია გვაქვს. ეს არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ხელისუფლების მხრიდან. როდესაც გვაქვს პანდემია, გვაქვს ძალიან ბევრი ხარვეზი მართვაში, ასეთი დამოკიდებულება არის ძალიან დიდი უპასუხისმგებლობა.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„უკრაინამ სააკაშვილი მოიშორა, „ოცნებამ“ კი თავის სასარგებლოდ გამოიყენა“

გიორგი გაჩეჩილაძე: „უკრაინაში რომ დაეპატიმრებინათ სააკაშვილი, ამას ქვეყანაში აჟიოტაჟი მოჰყვებოდა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი, მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე პასუხობს.

– ბატონო გიორგი, რეალურად რას ემსახურებოდა კგბ-ს გენერლის, ალასანიას ჩამოსვლა, რასაც ნაცმოძრაობის მესვეურთა მასობრივი შიმშილობა მოჰყვა?

– სააკაშვილის საქართველოში ჩამოყვანა საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლებების ერთობლივი ოპერაცია იყო. უკრაინის ხელისუფლებამ გარკვეული ნაბიჯები გადადგა იმისათვის, რომ რუსული აგენტურის ნეიტრალიზაცია მოეხდინა.

უკრაინაში სააკაშვილთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, რომელიც ეხება რუსული ფსბ-ს (უშიშროების სამსახურის) მიერ სააკაშვილის დაფინანსებას ვინმე სერგეი კურჩენკოს საშუალებით. ეს ჩვენ ამერიკული ტელევიზიებიდან ვიცით. საქმე აღძრულია, მაგრამ პროცესი შეჩერებულია და თაროზეა შემოდებული.

– ე.ი. ამის გამო გამოიქცა უკრაინიდან?

– სისხლის სამართლის საქმე რომ აღიძრა, მაშინ სააკაშვილს მოქალაქეობა შეუჩერეს და უკრაინიდან გააძევეს. თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, 2019 წლის 29 აპრილს, პუტინმა ერთ-ერთი საერთაშორისო მიღების დროს, ოფიციალურად მიმართა უკრაინის ახლად არჩეულ პრეზიდენტ ზელენსკის, რომ სააკაშვილისთვის მოქალაქეობა დაებრუნებინა.

– ფიქრობთ, რომ სააკაშვილის უკრაინიდან მოშორებაში ზელენსკის ხელი ურევია?

– კი არ ვფიქრობ, ვიდეო მაქვს, სადაც ყველაზე ცნობილი უკრაინელი ექსპერტი, პოლიტოლოგი, მიხეილ პოგრებინსკი ამბობს, აქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ იცოდა, რომ უკრაინა სააკაშვილს იქიდან გამოუშვებდა. სხვანაირად ეს წარმოუდგენელიც არის.

– რატომ?

– იმიტომ, რომ წარმოუდგენელია ორი საზღვრის უსაფრთხოდ გადაკვეთა ისე, თითქოს არავინ იცოდა. ტრაილერი-მაცივრის საშუალებით, რძის პროდუქტებთან ერთად მგზავრობისას, სადაც ტემპერატურა ისე დაბალია, შეუძლებელია გადარჩეს.

– ანუ ტრაილერით არ უმგზავრია, სხვა გზით შემოვიდა?

– არა, უბრალოდ, კაბინაში იჯდა.

– ნაცმოძრაობის ოფისში რატომ არ მივიდა?

– უბრალოდ, სააკაშვილს აქ დახვდნენ. ალბათ, თვითონაც კარგად მიხვდა, საქმე რაში იყო და დიდი წინააღმდეგობა არ გაუწია. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილი ნაცმოძრაობის ოფისში აუცილებლად მივიდოდა, იქ დაბანაკდებოდა, გაკეთდებოდა ნაცმოძრაობის წარმომადგენლების ალყა, როგორც მელიას შემთხვევაში მოხდა.

ეს პროცესი არჩევნების წინა დღეს ხდება. სააკაშვილი ნაცმოძრაობის ოფისში რომ მისულიყო, წარმოქმნილი აჟიოტაჟის ფონზე, ნაცმოძრაობა უფრო მეტ ხმებს აიღებდა.

– ანუ საქართველოს სპეცსამსახურებმა უზრუნველყვეს ის, რომ მიშას ნაცების ოფისამდე ვერ მიეღწია?

– დიახ, ისინი გაფრთხილებულები იყვნენ უკრაინის ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურებიდან. მათ უზრუნველყვეს ის, რომ მიშა ნაცმოძრაობის ოფისში ვერ მისულიყო. ისე იქნა წარმოდგენილი, რომ ქართულმა ხელისუფლებამ დააპატიმრა დიდი ხნის დევნილი დამნაშავე.

ყველა ქართველი ექსპერტი ამბობს, რომ სააკაშვილის ჩამოსვლამ ხელი შეუწყო წინასაარჩევნოდ როგორც ნაცმოძრაობის, ისე „ოცნების“ ზრდასო. მე კი ვამბობ, რომ ჩვენი ექსპერტები „თაღლითობენ“, კარგად იციან, რომ ამ ოპერაციამ ხელი შეუწყო წინასაარჩევნოდ „ოცნების“ რეიტინგის ზრდას, რადგან თავისი პირობა შეასრულა.

სააკაშვილის დაპატიმრება უკრაინისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქართველოსთვისაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან შარლ მიშელის შეთანხმებით, „ოცნებას“ 43%-ზე მეტი უნდა აეღო და 46% აიღო. სააკაშვილმა თავისი საქციელით, „ოცნების“ მიერ ამ ბარიერის გადალახვას შეუწყო ხელი. ამიტომ „ოცნებას“ რიგგარეშე არჩევნები ვეღარავინ მოსთხოვა.

გამოდის, საქართველოს ხელისუფლებამ ხელი შეუწყო უკრაინის სტაბილურობას. უკრაინამ საქართველოს ხელისუფლების, „ოცნების“ გამარჯვებას შეუწყო ხელი.

– ანუ ეს წინასწარი შეთანხმებით გაკეთდა?

– არ ვიცი, მაგრამ სქემა დაახლოებით ასეთი იყო. უკრაინამ საფრთხე მოიშორა, „ოცნებამ“ ეს საფრთხე თავის სასარგებლოდ გამოიყენა.

– უკრაინის ხელისუფლებას სააკაშვილის დაპატიმრება არ შეეძლო?

– არა. უკრაინაში რომ დაეპატიმრებინათ სააკაშვილი, ამას ქვეყანაში აჟიოტაჟი მოჰყვებოდა.

– უკრაინა თავისი მოქალაქის გადაცემას ამიტომ არ ითხოვს?

– არც უკრაინა ითხოვს გადაცემას და დასავლეთის ქვეყნების ხელისუფლებებიც არაფერს ამბობენ. მხოლოდ სამართლიან სასამართლოს ითხოვენ და სწორიც არიან. ყველა დანარჩენი მაიმუნობაა.

– ახლა, როცა დააპატიმრეს და სააკაშვილის პატიმრობიდან გამოშვება დაზარალებული ხალხის მღელვარებას გამოიწვევს, პრეზიდენტმა შეწყალებაზე უარი თქვა, ამ პროცესში ალასანიას ჩამოსვლას რა როლი ჰქონდა?

– სააკაშვილი და ნაცმოძრაობა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მიშას უკრაინაში დასაბრუნებელი გზა არ აქვს. არსად წასასვლელი გზა არ აქვს. ამიტომ ერთადერთი ვარიანტი აქვთ, როგორმე გადარჩეს, როგორც პოლიტიკოსი, ციხიდან გამოვიდეს. ეს ეხება ნაცმოძრაობასაც, ანუ როგორმე მოახერხონ და საქართველოში გაათავისუფლონ.

აქცია, შიმშილობა და პროტესტი ნაცმოძრაობის იძულებითი ნაბიჯებია იმისათვის, რომ როგორმე ხელისუფლებაზე ზეწოლით (ძირითადად, პრეზიდენტი იგულისხმება) პრეზიდენტმა შეიწყალოს. თუმცა, უკრაინაში ვერ დაბრუნდება.

ერთი პასაჟია ძალიან საინტერესო – სააკაშვილისგან გამოსულ დედას ჟურნალისტებმა ჰკითხეს, მიშა უკრაინაში დაბრუნებაზე რას ამბობსო. გიული ალასანიამ თქვა, მიშა საშინლად გაღიზიანდა და ამ თემაზე ლაპარაკი ამიკრძალაო.

– ეს განცხადება პატრიოტობად მონათლეს.

– ალასანიას ჩამოსვლის მიზანი იყო, საქართველოში მიშას გათავისუფლების ხელშეწყობის ორგანიზება მოეხდინა. იცით, უშიშროების გენერალია. არ არის გამორიცხული, სწორედ მათი დავალებით ჩამოვიდა, რადგან სააკაშვილის გათავისუფლების შემთხვევაში, პროცესები უფრო რადიკალურ ფორმას მიიღებს.

ალასანიას მიზანი ეს იყო, მაგრამ საქართველოს პროკურატურასაც ხომ არ სძინავს, ალასანია დაიბარეს დაკითხვაზე. ეტყობა, გაიფრთხილეს და მეორე დღეს აქედან გაიქცა. ეტყობა, უთხრეს, კარგი დღეები არ ელოდება თუ საქართველოში დარჩება და ამ პროცესში მონაწილეობას მიიღებს.

– ალასანიას ერთი ფრაზაა ძალიან მნიშვნელოვანი – ნაცმოძრაობამ შეუძლებელი ვერ შეძლოო და ამას მოჰყვა მასობრივი შიმშილობის აქცია.

– ალბათ, ამისთვის იყო ჩამოსული, არეულობის ორგანიზება მოეხდინა და გარკვეული მესიჯები ჩამოიტანა.

– ანუ რუსეთი ცდილობს საქართველოში არეულობა მოაწყოს და ხელი მოითბოს უკრაინაში?

– რა თქმა უნდა. ამას აღარც მალავენ. ახლახან პუტინმა განაცხადა, რომ შავ ზღვაში ნატოს გაძლიერებას, აღმოსავლეთ ფლანგზე რიგი ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას არ დავუშვებთ ყველა ჩვენი საშუალებითო.

– ახლა ნაცმოძრაობა შიმშილობის ორგანიზებით რას მიაღწევს?

– ვერაფერს მიაღწევს თუ რამე უბედურება არ დატრიალდა.

– ანუ, რა?

– არ ვიცი. მათ რესურსი ნელ-ნელა ეწურებათ. შიმშილობა და პერფორმანსები, როდესაც 10-20 კაცი დარბის და რაღაცებს აკეთებს, იმას ნიშნავს, რომ ნაცმოძრაობის შესაძლებლობები მილევად პროცესშია. ეს სისულელეები ხალხსაც ყელში ამოუვიდა. შიმშილობა რადიკალური ნაბიჯია. ღმერთმა დაგვიფაროს, იქ რამე უბედურება მოხდეს. შეიძლება ისიც იყოს დაგეგმილი, ვიღაცას რაღაცა მოუვიდეს და ამის საფუძველზე როგორმე ტალღა ააგორონ.

ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. გამორიცხული არაა, რაიმე უბედურება იყოს დაგეგმილი. შიმშილობა მაინც სიცოცხლის რისკთანაა დაკავშირებული. თან თავისი ოფისის ფარგლებში გააკეთეს. იქ რა მოხდება, ღმერთმა იცის.

„ინფლაცია შეჩერდება, მაგრამ ფასები არ დაიწევს“

ნიკა შენგელია: „ემიგრანტებმა ფულის გამოგზავნა გააორმაგეს და ამის გამო აღარ გაუფასურდა ლარი“

იაგო ნაცვლიშვილი

შეჩერდება თუ არა ფასების ზრდა? რის ხარჯზე შენარჩუნდა ლარის კურსი? და რა გავლენას იქონიებს სოციალურ ფონზე თბილისში საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ფასების ზრდა? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში ნიკა შენგელია საუბრობს.

– მთავრობა გვეუბნება, რომ ეკონომიკური წინსვლა გვაქვს. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კი გვამშვიდებს, რომ თებერვლიდან აღარ გაიზრდება ფასები, მაგრამ რეალურად როგორია მდგომარეობა?

– ინფლაცია დიდი ალბათობით შემცირდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ფასები შემცირდება. ფასები, სამწუხაროდ, ისეთივე დარჩება, როგორიც არის. უბრალოდ, წინა წელთან რომ შეადარებენ, ძალიან მცირე იქნება, მაგრამ რიცხვებში დაიწევს.

– ლარის კურსზე მოლოდინი წელსაც იყო, რომ მკვეთრად გაუფასურდებოდა, მაგრამ შენარჩუნდა ზაფხულის მდგომარეობა. როგორ გააჩერეს?

– ამის მთავარი ფაქტორი, რამაც ლარის კურსი გააჩერა, ეს არის ემიგრანტების მიერ გაორმაგებული თანხა, 2 მილიარდ 200 მილიონ დოლარამდეა ჩარიცხული და წლის ბოლომდე 7 მილიარდ ლარამდე იქნება.

– წინა წლებში რასაც რიცხავდნენ, იმაზე მეტი ჩარიცხეს?

– რა თქმა უნდა. გაორმაგებულია ჩარიცხულები. ეს არის ის თანხა, რაც ჩვენს ეკონომიკას დაახლოებით 13-14%-ის ფარგლებში აგენერირებს. ეს ის თანხაა, რომელიც ბიძგს აძლევს მოთხოვნის ზრდას და სხვა არაფერი. ეს თანხა, რაც საქართველოში არ ყოფილა, შემოვიდა მის ფარგლებს გარედან. ლარის კურსთან მიმართებაში მოთხოვნა ხდება ლარზე, რადგან ახურდავებენ დოლარს.

– ემიგრანტებისგან შემოსული ფულის გაზრდა იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ გაიზარდა ქვეყნიდან გასული მოსახლეობის რიცხვი თუ რით აიხსნება შემოსული ფულის ზრდა?

– ესეც არის, მაგრამ ეს უფრო იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არის გაჭირვება და შიმშილი და თუ მანამდე თავისი ოჯახის წევრებს თვეში 200 ევროს უგზავნიდნენ, ახლა იძულებულები არიან, რომ 400 ევრო გამოუგზავნონ, რათა თავი შეინახონ.

– საწვავის ფასი ისევ არ კლებულობს. რა გველოდება?

– საწვავის ფასი რომ არ დაიწევდა, ამაზე ჩვენ გავაკეთეთ განცხადება. ის, რომ დაიწევდა საწვავის ფასი, ამაზე აჟიოტაჟი ზოგიერთმა ექსპერტმა შექმნეს, როდესაც ბარელი ნავთობის ფასი 25 დოლარად დაინახეს. თქვეს, დაიწევს და ერთ კვირაში აისახებაო. ჩვენ ასეთ პროგნოზს არ ვაკეთებდით და, სამწუხაროდ, გამართლდა.

2022 წელიც ინფლაციის წელი იქნება. ისევ გამოწვევების წელი იქნება და დაუძლეველი იქნება ის სამი მთავარი საკითხი, რასაც ჰქვია ვალუტის კურსი, უმუშევრობა და ფასების ზრდა. ეს სამი საკითხი 2 ათეული წელია დაუძლეველია და ცოტა მეტიც. ვერც ერთი მთავრობა ვერ აგვარებს ამას.

– ამ ვითარებაში, როცა ასეთი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაა, ხომ არ დგება ეკონომიკის მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი?

– ეკონომიკის გუნდი არიან ადამიანები, რომლებიც მხოლოდ თეორიულ დასკვნებს აკეთებენ და ამის მიხედვით იღებენ გადაწყვეტილებებს. ეს არის მთელი პრობლემა. როგორც

მუშაობს ეროვნული ბანკი და როგორც მუშაობს ეკონომიკის სამინისტრო... მთავრობას უნდა, რომ მეტი ბიზნესი და მეტი სამუშაო ადგილი გაკეთდეს, მაგრამ ამასობაში ეროვნული ბანკი აძვირებს ლარს საპროცენტო განაკვეთით, რაც აძვირებს სერვისს. ეს არის მცდარი პოლიტიკა. არაერთხელ გვითქვამს, რომ ინფლაციას, რომელიც საქართველოშიც არის და მთელ მსოფლიოშიც, მას უნდა ებრძოლო მეტი ფულის შეთავაზებით, იაფიანი მოთხოვნებით პროდუქციაზე და ასე გაუწიო კონკურენცია.

ინფლაცია, რომელიც არსებობს, მონეტარული პოლიტიკით გამომდინარეობს. ეს არის ბიზნესმენების, მეწარმეების მოგების ინფლაცია, შემოსავლების ინფლაცია და ამით არის გამოწვეული. ვგულისხმობ იმას, რომ ნედლეულზე გაზრდილია ფასები და გაძვირებულია გადაზიდვების ფასი. ჩვენ ვართ იმპორტზე დამოკიდებული, შესაბამისად, მეტი შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. აქედან გამომდინარე ემატება გადასახადები გაძვირებულ პროდუქციას. როდესაც ინფლაციას ებრძვი მონეტარული პოლიტიკის საშუალებით, ეს არის არასწორი. არ მუშაობს ეს ბერკეტი. ჩვენ 1 წელზე დიდი ხნის წინ ვთქვით, რომ მოდის დრო, როცა ეს ბერკეტი არ იმუშავებს. ამის მიუხედავად ეროვნული ბანკი ამ ბერკეტს მაინც ჯიუტად იყენებს, რითაც ბიზნესმენებსა და მეწარმეებს აგდებს კაბალურ მდგომარეობაში. იმიტომ, რომ მას უწესებს მეტ გადასახადს.

– თბილისში რეალურად ძვირდება ტრანსპორტზე ფასი. ეს იმოქმედებს თუ არა საერთო სოციალურ ფონზე?

– რა თქმა უნდა, გაძვირდა თბილისში ტრანსპორტის ფასი. მე წეღან ვახსენე კაბინეტებიდან მიღებული თეორიული გადაწყვეტილებები. თეორიულად ტრანსპორტზე ღირებულება გაიაფდა, ადამიანზე, რომელსაც სამსახური აქვს და ყოველდღე დადის და თუ ის იყიდის 240-ლარიან აბონემენტს, მაშინ გამოდის იაფი. მაგრამ ადამიანს, რომელიც უმუშევარია და კვირაში 2-3-ჯერ უწევს გარეთ გასვლა, ის ვერც აბონემენტს იყიდის და ისედაც გაორმაგებულია ტრანსპორტის ფასი.

რამდენია საქართველოში ისეთი ადამიანი, რომელსაც აქვს ფუფუნება, რომ თავიდანვე იყიდოს და გადაიხადოს 240 ლარი.

– სხვათა შორის, იმ ადამიანებსაც გაუძვირდათ, ვინც მუშაობს, მაგრამ ერთწლიანს ვერ იყიდის და, მაგალითად, იყიდის ერთთვიანს.

– დიახ. აქედან გამომდინარე ტრანსპორტის ღირებულება გაძვირებულია. ამიტომ ვამბობ, რომ ხალხი ზის კაბინეტებში და მხოლოდ თეორიაზე აგებულ გადაწყვეტილებებს ღებულობს, რომელიც შემდეგ პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს და ეს ყველაფერი აისახოს მოსახლეობაზე. ვერ ვხედავ მთავრობის თუ თბილისის მერიის ეკონომიკური გუნდის მიდგომას საკუთარი მოსახლეობის მიმართ ისეთს, რომელიც იქნება ლოიალური. რა თქმა უნდა, ეს აისახება მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზეც.

ადვოკატი: „7 ნოემბრის დარბევაზე სააკაშვილს ინსტრუქციები არ გაუცია“

პროკურორი: „თუ ეს ასეა, მერაბიშვილი რატომ დააჯილდოვა?!“

7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ცენტრ „ემპათიას“ დასკვნა საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა კოლეგიამ 23 დეკემბერს მიიღო.

სასამართლო პროცესზე ადვოკატებმა საქმეზე სახალხო დამცველისა და „ემპათიის“ დასკვნის მტკიცებულების სახით დართვა მოითხოვეს.

წარმოდგენილ შუამდგომლობას ბრალდების მხარე არ დაეთანხმა.

პროკურორ ლაშა ცქვიტარიას განცხადებით, საპროცესო კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნა დარღვეულია, ამასთან, 7 ნოემბრის საქმე განიხილება, ხსენებულ დასკვნებში კი ამ ფაქტებზე საუბარი არაა. პროკურორის თქმითვე, აღნიშნულ დასკვნებს სამართლებრივი საფუძველი არ აქვს.

მოსამართლეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაცვის მხარის შუამდგომლობა ნაწილობრივად იქნა დაკმაყოფილებული.

კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ცენტრ „ემპათიის“ მიერ გაკეთებული დასკვნა საქმეს მტკიცებულებად დაერთო. რაც შეეხება საჯარო განცხადებებს, მათ შორის, ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გაკეთებულს, ის მოსამართლეთა კოლეგიამ მტკიცებულების სახით არ დაურთო საქმეს და, როგორც ცნობა, ისე მიიღო.

საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო სახალხო დამცველის დასკვნაც.

23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში 7 ნოემბრის საქმეზე ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესი გაიმართა.

სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

სააკაშვილის ადვოკატ ბექა ბასილაიას განცხადებით, 7 ნოემბრის დარბევის საკითხთან დაკავშირებით მიხეილ სააკაშვილს ინსტრუქციები არ გაუცია.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ადვოკატი განმარტავს, პროკურატურის მიერ 23 დეკემბერს სასამართლოში გამოკვლეული ვიდეოკადრებით, რომლებიც 7 ნოემბრის დარბევას ასახავს, 7 მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობა არ დასტურდება.

ამასთან, ბასილაია აცხადებს, რომ 7 ნოემბერს ჩატარდა საპოლიციო ღონისძიება და რომ პოლიციელების მხრიდან ერთეულ შემთხვევებში ჰქონდა გადაცდომებს ადგილი.

– საზოგადოებამ კიდევ ერთხელ იხილა 7 ნოემბერთან დაკავშირებით კადრები, ჩვენ ვნახეთ, რომ საპოლიციო ღონისძიების დაწყებამდე იყო გაფრთხილება, ვნახეთ, რომ საპოლიციო ღონისძიების დაწყებამდე მომიტინგეებს საკმაო დრო მიეცათ, საპოლიციო მოთხოვნა შეესრულებინათ. საპოლიციო ღონისძიების დაწყებამდე მოქალაქეთა რაოდენობა ნამდვილად არ იყო ისეთი, რომ გზის გადაკეტვის აუცილებლობა მდგარიყო, ვნახეთ, რომ მხუთავი აირით დაზიანებულ მოქალაქეებს პარლამენტის შენობაში უწევდნენ სამედიცინო დახმარებას.

ასევე ვნახეთ საკმაოდ მძიმე კადრები, როცა პოლიციასა და მოქალაქეებს შორის იყო შეტაკება, მაგრამ ამას ჰქონდა ერთეული ინციდენტების სახე და ეს არ ყოფილა პერმანენტული. მე არ მითქვამს, რომ აქციის დაშლის დროს ყველა ეპიზოდში იყო პროპორციული ძალა.

ვნახეთ, რომ აქ რეზინის ტყვიები გამოყენებული არ ყოფილა განსხვავებით 20 ივნისისა, როცა ხალხს თვალები დათხარეს. თუ პროკურატურა ამბობს, რომ ამ საქმის ფარგლებში სიმართლეს ობიექტურად იკვლევენ და სიმართლე აინტერესებთ, ერთი პოლიციელი მაინც რატომ არ არის დაკითხული? 20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ვინ დაიჭირეს? – პოლიციელები, გადაცდომას ჰქონდა ადგილი, ამ საქმეში არც ერთი პოლიციელიც კი არ არის დაკითხული, – განაცხადა ადვოკატმა ბასილაიამ.

მისი თქმით, ამ საქმეში პროკურატურას პოლიტიკური მოტივაცია და ინტერესი აქვს.

– ვიდეოს გამოკვლევის დროს, პროკურატურა კადრებიდან კადრებზე ხტებოდა, სრულად არ გაუშვა, არ გაუშვა ამ საქმეში მათ მიერვე მოწმედ მოყვანილი იმჟამინდელი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის განცხადებები, ნოღაიდელი ამბობდა, რომ ეს საპოლიციო ღონისძიებები იყო კანონიერი, სასამართლოში კი საუბარი სხვაგვარად დაიწყო. ვიდეოები, რომელთა დემონსტრირებაც მოახდინეს, რომელიმე თანამდებობის პირის მიერ გაკეთებულ რაიმე დავალებაზე არ მიუთითებს. იყო საპოლიციო ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც იყო გარკვეული გადაცდომები, რასთან დაკავშირებითაც, პროკურატურას, ამ დრომდე რეაგირება არ ჰქონია, – განაცხადა ბასილაიამ.

კითხვაზე, თუ რატომ ურეკავდა მიხეილ სააკაშვილი დარბევის დღეს იმჟამინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს, თუკი, მისივე განცხადების მიხედვით, დარბევის შესახებ ტელევიზიით გაიგო, ან რატომ დააჯილდოვა დარბევაში მონაწილე პოლიციელები, ადვოკატი აცხადებს, რომ 7 ნოემბრის შემდეგ სააკაშვილმა პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო.

– რა წერია დაჯილდოების ბრძანებაშიო? სთხოვეთ პროკურორებს, წარმოგიდგინოთ დოკუმენტი. ჩვენ ვსაუბრობთ სამართლებრივ პროცესზე, პოლიტიკურ ნაწილში, მიხეილ სააკაშვილმა 7 ნოემბრის შემდეგ პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო და გადადგა. რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, მაგალითად, კონკრეტულ დღეებში ნებისმიერი თქვენგანი დღის მანძილზე 5-ჯერ, 10-ჯერ მირეკავს, ვინმეს შეუძლია მხოლოდ იმის გამო, რომ ზარებია, დაადგინოს, რაზე ვისაუბრეთ? ცალსახად ვამბობ, არათუ ინსტრუქცია, საპოლიციო ღონისძიებასთან დაკავშირებით კონკრეტული რაიმე ტიპის საუბარი რომ ყოფილიყო, ასეთი მტკიცებულება არ არსებობს. მსგავსი რამ წარმოდგენილი რომ იყოს, პროკურორები ვარაუდებზე კი არ ილაპარაკებდნენ, დემონსტრირებას მოახდენდნენ, – აღნიშნა ადვოკატმა ბასილაიამ.

კომენტარი გააკეთა პროკურორმა ჯარჯი წიკლაურმაც.

– თუ მიხეილ სააკაშვილმა მხოლოდ დილით ტელევიზიით გაიგო 7 ნოემბერს განვითარებული ძალადობრივი მოვლენები, მაშინ მან, როგორც პრეზიდენტმა, მეორე დღეს რატომ დააჯილდოვა უმაღლესი წოდებებით ამ ძალადობის ორგანიზატორი ყველა მაღალჩინოსანი? – იკითხა მან.

წიკლაურის თქმით, მიხეილ სააკაშვილი კითხვებზე პასუხის გაცემას თავს ჯანმრთელობის მდგომარეობის მომიზეზებით არიდებს.

– სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარემ წარმოადგინა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, ეს გახლდათ ვიდეოკადრები და ამ ვიდეოკადრებით დასტურდება, რომ 7 ნოემბერს მოხდა და დაიგეგმა არა საპოლიციო დაშლის ღონისძიება, როგორც ამის წარმოჩენას ცდილობენ, არამედ ეს მძიმე კადრები ადასტურებს, რომ 7 ნოემბერს დაიგეგმა სადამსჯელო ღონისძიება. საქართველოს მოქალაქეები დასაჯეს, ძალადობრივად დაარბიეს მხოლოდ იმის გამო, რომ აღარ გაებედათ პროტესტის გამოხატვა და საპროტესტო აქციები, – განაცხადა პროკურორმა.

მისი თქმით, როცა ბრალდების მხარე საქმის საგნობრივ და შინაარსობრივი მხარის განხილვაზე გადადის, რატომღაც ბრალდებული სააკაშვილი ჯანმრთელობის მომიზეზებით უარს აცხადებს მონაწილეობის მიღებაზე.

– ნაცვლად იმისა, რომ მან ჩვენს შეკითხვებს პასუხი გასცეს, თუნდაც ამ ძალადობრივ კადრებზე, მან განაცხადა, რომ ის არაფერ შუაშია, მერაბიშვილს გადააბრალა მთელი მისი დანაშაული და თქვა, დილით ტელევიზიით გავიგე აღნიშნული დარბევის შესახებო. ხომ უნდა გასცეს პასუხი, თუ მხოლოდ დილით ტელევიზიით გაიგო იმ დღეს განვითარებული ძალადობრივი მოვლენები, მაშინ, მან, როგორც პრეზიდენტმა, მეორე დღეს რატომ დააჯილდოვა უმაღლესი წოდებებით ფაქტობრივად ამ ძალადობის ყველა ორგანიზატორი მაღალჩინოსანი, თუ მას არ მოსწონებია დარბევის მძიმე შედეგები, რატომ მიანიჭა უმაღლესი წოდებები ამ ძალადობის ყველა ორგანიზატორს?

როცა ამ შეკითხვებს პასუხი უნდა გასცეს, ის რატომღაც, თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას. მიზეზი, თუ რატომ დააჯილდოვა მიხეილ სააკაშვილმა ძალადობის ორგანიზატორები, გახლდათ შემდეგი – მათ კარგად შეასრულეს მათზე დაკისრებული დავალებები, კერძოდ, კარგად გაუწიეს ორგანიზება სადამსჯელო ღონისძიებას.

როგორც ჩანს, ბრალდებულ სააკაშვილს მართლმსაჯულებაში მონაწილეობა ჰგონია სასამართლო დარბაზის გამოყენება მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებისთვის. როცა შინაარსზე და საგნობრივ განხილვაზე გადადის ბრალდების მხარე, სამწუხაროდ, უარს აცხადებს ის მონაწილეობაზე და პასუხს ვერ სცემს ვერც ერთ ჩვენ შეკითხვას, – დასძინა პროკურორმა წიკლაურმა.

სახელმწიფო ბრალდება მიხეილ სააკაშვილს 2007 წლის 7 ნოემბერს, მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრასა და ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას ედავება.

საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით აქვს წარდგენილი, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების, ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული ბრალი სასჯელის სახედ და ზომად 5-დან 8 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნულ საქმეში სააკაშვილთან ერთად ბრალდებულები არიან ვანო მერაბიშვილი, ზურაბ ადეიშვილი, დავით კეზერაშვილი და გიგი უგულავა.

„გოგა გზირიშვილი მის ცხეში დატოვებას ითხოვს“

ადვოკატ ჯანჯღავას განცხადება

ორსული ქალის, ქეთა კეპულაძის მკვლელობის ფაქტზე დაკავებული ქმარი – გოგა გზირიშვილი – მომხდარს განიცდის და სტრესულ მდგომარეობაშია.

აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულის ადვოკატმა მევლუდ ჯანჯღავამ განუცხადა.

ადვოკატი გზირიშვილს ზაჰესის დროებითი მოთავსების იზოლატორში 23 დეკემბერს დღის პირველ ნახევარში შეხვდა.

როგორც ჯანჯღავა განმარტავს, დაკავებულს მძიმე სტრესული მდგომარეობა აქვს, რის გამოც მასთან მომხდარის დეტალებზე არ უსაუბრია.

ადვოკატის თქმით, ორსული ცოლის მკვლელობის ფაქტზე დაკავებული მამაკაცი მოითხოვს, ის სასამართლომ პატიმრობაში დატოვოს და მის მიმართ გირაო არ იქნას გამოყენებული.

ჯანჯღავას განმარტებით, სამართალდამცავებს თავად გზირიშვილმა დაურეკა და მომხდარის შესახებ შეატყობინა.

– როცა პოლიციელები მოვიდნენ, შეცდომით მეზობელთან შედიოდნენ, ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა დაუძახა მათ და უთხრა, აქ მობრძანდით, მე ვარ, ვინც დაგირეკათო, – აცხადებს ადვოკატი.

გოგა გზირიშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე სასამართლო, სავარაუდოდ, 24 დეკემბერს, იმსჯელებს.

არსებული ინფორმაციით, ვარკეთილში, ახალგაზრდა მამაკაცმა – გოგა გზირიშვილმა ხუთი თვის ორსული ცოლი – ქეთა კეპულაძე მოკლა. გარდაცვლილს ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო 11 პრიმა 109-ე მუხლით, რაც გულისხმობს ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებაში.

ავარიას ლილოში 1 ქალი შეეწირა

თბილისში, ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. არსებული ინფორმაციით, გარდაიცვალა ერთი ქალი.

დაჯარიმდა საწარმო, რომელიც დასაქმებულისგან სელფის ითხოვდა

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურმა, წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი დაადგინა. დაჯარიმდა საწარმო, რომელიც დასაქმებულისგან რეზიუმესთან ერთად სელფის ითხოვდა.

უწყების ცნობით, საწარმომ დისკრიმინაციული შინაარსის ვაკანსიის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შრომის ინსპექციის მხრიდან პირველად განხორციელებული რეაგირების, კერძოდ, გაფრთხილების გაცემის მიუხედავად, სოციალური ქსელის მეშვეობით, განმეორებით გამოაქვეყნა დისკრიმინაციული შინაარსის შემცველი განცხადება.

„ესაჭიროება ბუღალტერი, 50 წლამდე გოგონა სრულ განაკვეთზე სამუშაოდ; მოთხოვნები: მაღალი, გამხდარი, პროგრამა „ფინაში“ მუშაობის გამოცდილება; წარმოებაში მუშაობის გამოცდილება; გთხოვთ სივი სელფთან ერთად გადმოგვიგზავნოთ მეილზე“ – აღნიშნული იყო განცხადებაში.

შრომის ინსპექცია მოუწოდებს დამსაქმებლებს, არ დაუშვან ვაკანსიის ტექსტში დისკრიმინაციული ენის მარკეტინგული თუ სხვა მიზნებისათვის გამოყენება და არ შეუწყონ ხელი საზოგადოებაში ახალი სტერეოტიპული შეხედულებების დამკვიდრებას.

სსიპ – შრომის ინსპექციის სამსახურმა დაადგინა, რომ დამსაქმებლის მხრიდან დასაქმების მსურველ პირებთან მიმართებით ადგილი ჰქონდა ასაკის, სქესისა და გარეგნობის ნიშნით დისკრიმინაციულ მოპყრობას, რისთვისაც სახდელის სახედ გამოყენებულ იქნა კანონით განსაზღვრული ჯარიმის სამმაგი ოდენობა და დამსაქმებელს გამოქვეყნებული ვაკანსიის ტექსტის ცვლილება დაევალა.

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური მოუწოდებს დამსაქმებლებს:

არ დაუშვან ვაკანსიის ტექსტში დისკრიმინაციული ენის მარკეტინგული თუ სხვა მიზნებისათვის გამოყენება;

არ შეუწყონ ხელი საზოგადოებაში ახალი სტერეოტიპული შეხედულებების დამკვიდრებას ან/და უკვე არსებულების გაძლიერებას;

გამონახონ „ოქროს შუალედი“, რომლითაც დაცული იქნება როგორც აზრის თავისუფლება, ასევე იმ პირთა უფლებები, რომლებიც ამ თავისუფლების სამიზნეს წარმოადგენენ“ – აღნიშნულია განცხადებაში.

კომპანიას 318.026 ლარის ზედმეტობა უსაფუძვლოდ წარმოეშვა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენების გზით, მოტყუებით დიდი ოდენობით ქონებრივი დაზიანების ფაქტზე, ერთი პირი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მისივე მართვის ქვეშ მყოფი 4 კომპანიის სახელით, ურთიერთშორის განახორციელა მომსახურების მიწოდების ამსახველი 72 ერთეული ყალბი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაწერა, რა გზითაც ერთ-ერთ კომპანიას დამატებული ღირებულების გადასახადში უსაფუძვლოდ წარმოეშვა 318.026 ლარის ოდენობის ზედმეტობა, რომელიც შემდგომში ბრალდებულმა გამოიყენა ბიუჯეტის მიმართ არსებული ვალდებულებების დასაფარავად.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის პირველი და 185-ე მუხლის მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

უკრაინამ და რუსეთმა ცეცხლის შეწყვეტის ახალ შეთანხმებას მიაღწიეს

უკრაინის, რუსეთისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) წარმომადგენლები აღმოსავლეთ უკრაინაში ქვეყნის სამთავრობო ძალებსა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს შორის ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის აღდგენაზე შეთანხმდნენ.

– ახალი შეთანხმება უაღრესად მნიშვნელოვანია საკონტაქტო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანებისთვის, – განაცხადა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინაში და სამმხრივ საკონტაქტო ჯგუფში, ელჩმა მიკო კინუნენმა.

მისი თქმით, სპეციალური სადამკვირვებლო მისიის ანგარიშების მიხედვით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ვითარება საკონტაქტო ხაზზე არასტაბილური იყო და 2021 წლის დეკემბერში, 2020 წლის დეკემბერთან შედარებით, დღეში დაახლოებით ხუთჯერ მეტი ცეცხლის შეწყვეტის დარღვევა ფიქსირდებოდა.

მხარეებს შორის ცეცხლის შეწყვეტის წინა შეთანხმება 2020 წლის ივლისში გაფორმდა.

ბოლო თვეების განმავლობაში კიევი და მოსკოვი ხშირად ადანაშაულებდნენ ერთმანეთს ამ შეთანხმების დარღვევაში.

დანიასა და ბელგიაში კინოთეატრები იხურება

ბელგიაში, კორონავირუსის „ომიკრონ“ ვარიანტის გავრცელების გამო, კინოთეატრები, თეატრები და დახურულ სივრცეში განთავსებული სხვა რეკრეაციული ობიექტები დროებით იხურება.

ამასთან, მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ფიტნეს ცენტრები, შესაძლოა, ღია დარჩნენ. ბელგიის მთავრობა მოსახლეობას მოუწოდებს, რომ საშობაო დღეების დაწყებამდე კოვიდ ტესტი ჩაიტარონ.

ბელგიის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ ქვეყანაში დაინფიცირების შემთხვევების 27% „ომიკრონ“ ვარიანტზე მოდის.

„ომიკრონ“ ვარიანტის გავრცელების გამო თეატრებს, კინოთეატრებს, მუზეუმებს, საკონცერტო დარბაზებს, გასართობ პარკებსა და ხელოვნების გალერეებს ხურავს დანიის ხელისუფლებაც.

მაღაზიებსა და რესტორნებს მომხმარებლის რაოდენობის შეზღუდვა მოუწევთ. ამასთან, რესტორნები 23:00 საათისთვის უნდა დაიკეტოს. მანამდე დანიის მთავრობამ მოქალაქეებს სახლიდან მუშაობის რეკომენდაცია მისცა.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონალური დირექტორი ჰანს კლუგე ქვეყნებს აფრთხილებს, რომ „ომიკრონ“ ვარიანტის გავრცელების გამო კოვიდ-19-ის შემთხვევების „მნიშვნელოვანი ზრდისთვის“ მოემზადონ.

მისი თქმით, „ომიკრონი“ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დომინანტური ვარიანტია.

ესპანეთში გარე სივრცეში პირბადეები სავალდებულო ხდება

– ესპანეთში გარე სივრცეში პირბადეების ტარება კვლავ სავალდებულო ხდება.

ამის შესახებ ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა პედრო სანჩესმა განაცხადა.

მისივე თქმით, ქვეყანაში დაჩქარდება „ბუსტერ“ დოზით ვაქცინაციის კამპანია.

ესპანეთს ვაქცინაციის კარგი მაჩვენებელი ჰქონდა, რითაც ქვეყანამ თავიდან აიცილა შემოდგომის თვეებში მკაცრი ზომების დაწესება, მაგრამ ბოლო დროს, „ომიკრონ“ ვარიანტის სწრაფი გავრცელების გამო, დაინფიცირების შემთხვევები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვარაუდობენ, რომ ესპანეთში ახალი შემთხვევების თითქმის ნახევარი „ომიკრონ“ ვარიანტზე მოდის.

ქვეყანაში, გასული დღის განმავლობაში, კორონავირუსით დაინფიცირების 44. 357 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც რეკორდულად მაღალი დღიური მაჩვენებელია ესპანეთისთვის პანდემიის დაწყების დროიდან.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

15 – წარმატებული...

ამ თხუთმეტი წლის წინ, როცა წინა ხელისუფლება მიზანმიმართულად კლავდა და ანგრევდა ქართულ მეცნიერებას და განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტს, ქართველი ისტორიკოსთა და ფილოლოგთა ჯგუფი, უსამართლოდ დამცირებული და სამსახურიდან გამოყრილ-ჩარეცხილი, გაერთიანდა აკად. დავით მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ არასამთავრობო სამეცნიერო ორგანიზაციაში.

ცენტრისთვის პირველ, განსაკუთრებულად რთულ პერიოდში, გამოჩნდნენ ქველმოქმედი ადამიანები, რომლებმაც ირწმუნეს ქართველი მეცნიერების მიზნები და ამოცანები, მხარი დაუჭირეს მათ წამოწყებას: ერთ-ერთი პირველი იყო „მაგთიკომის“ ხელმძღვანელი გია ჯოხთაბერიძე, აშშ ნიუ იორკის სამეცნიერო გამომცემლობა და მისი მფლობელი ქალბატონი ნადია გოცირიძე.

15 წლის მანძილზე ცენტრმა ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე გამოაქვეყნა კაპიტალური ნაშრომები: „საქართველოს ისტორია“ (ოთხტომეული) (ორი რედაქცია), ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა „ქართველები“ (პროექტის ხელმძღვანელი აკად. წ.კ. ლ. მელიქიშვილი), „საქართველოს ისტორია“ (ერთტომეული. ავტორები დ. მუსხელიშვილი, მ. სამსონაძე, ა. დაუშვილი), რომელიც საქართველოში რამდენჯერმე გამოქვეყნდა, ხოლო 2012 წელს დაიბეჭდა ნიუ-იორკშიც. ნიუ-იორკში გამოქვეყნდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისადმი მიძღვნილი სტატიების კრებულიც, რომელშიც მაქსიმალური ობიექტურობით არის შესწავლილი ეს დრამატული ისტორიული პროცესი და მისი შედეგები.

ცენტრის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკატორების მხილება და მათი მეცნიერული კრიტიკა. ამ მიზნით რუსულ და ინგლისურ ენებზე სხვადასხვა დროს დაიბეჭდა, განთავსდა ინტერნეტში: "Некоторые вопросы истории Грузии в армянской историографии", "Некоторые вопросы истории осетин Шида Картли" , "Некоторые вопросы грузино-русских взаимоотношений в современной историографии", "Новейшая история Грузии" და ა.შ.

ბოლო წლებში დაიბეჭდა: „ქართველი ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე“ (დ. მუსხელიშვილი, გ. ჭეიშვილი, ა. დაუშვილი); „ქართული სოფლის ტრადიციული სამეურნეო კულტურა და მისი განვითარების პერსპექტივები“ (პროექტის ხელმძღვანელი მ. ბურდული), „საქართველოს II რესპუბლიკა“ (ალ. დაუშვილი) და სხვ.

სამეცნიერო ცენტრი რეგულარულად გამოსცემს სამეცნიერო ჟურნალს -„ანალები“ (უკვე დაიბეჭდა 17 ნომერი), რომელშიც სტატიებს აქვეყნებენ ცნობილი ქართველი და უცხოელი ისტორიკოსები, ფილოლოგები, ეთნოლოგები, ანთროპოლოგები.

გვჯერა, რომ „ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრის“ თანამშრომლები მომავალშიც ჩვეული ენერგიით განაგრძობენ საქმიანობას და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს ისტორიის ღრმა მეცნიერული კვლევის დიდად საჭირო საქმეში – ამის გარანტიაა მათი მაღალი კვალიფიკაცია, საქმისადმი ერთგულება, გაუნელებელი ენთუზიაზმი.

აკად. დავით მუსხელიშვილი
პროფ. ალ. დაუშვილი

ბარსელონა მანჩესტერს ფეხბურთელებს ართმევს

მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი ფერან ტორესი უახლოეს მომავალში ბარსელონას რომ შეუერთდება, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. კატალონიელები სიტის 55 მილიონ ევროს გადაუხდიან. თუმცა, შესაძლოა, თანხა 65 მილიონამდეც გაიზარდოს.

ბარსელონას ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ფეხბურთელში 65 მილიონი ევროს გადახდა კარგ აზრად ნამდვილად არ მოჩანს, მაგრამ თუ ტრანსფერს დეტალურად შევისწავლით, დავრწმუნდებით, რომ „ბლაუგრანას“ სპორტულმა დირექტორმა, მატეუ ალემანიმ, ნამდვილად ძალიან კარგად იმუშავა.

საწყისი ვითარება ასეთი იყო – მანჩესტერ სიტი 75 მილიონს ითხოვდა, ბარსა კი, მხოლოდ 45 მილიონის გადახდაზე იყო თანახმა. საბოლოოდ მხარეები 55+10 მილიონზე შეთანხმდნენ, რაც მათ მოთხოვნების დაახლოებით შუალედური ვარიანტია.

კონკრეტული დეტალები კი ასეთია: ბარსას ზამთარში არაფრის გადახდა არ მოუწევს. კატალონიელები 55 მილიონს 4 ნაწილად გადაიხდიან, პირველ ნაწილს კი, 2022 წლის ზაფხულში დაფარავენ.

რაც შეეხება დამატებით 10 მილიონს, მისი გადახდა 4 პირობაზეა დამყარებული და 4-ვე მათგანი ბარსასთვის მომგებიანია: პირველი პირობა გულისხმობს, რომ ბარსელონამ ჩემპიონთა ლიგა უნდა მოიგოს, ტორესმა კი შეხვედრების 70%-ში 45 წუთი ან მეტი ითამაშოს; მეორე და მესამე პირობა გულისხმობს, რომ ფერან ტორესმა „ოქროს ბურთი“ ან „ოქროს ბუცი“ უნდა მოიგოს; მეოთხე პირობა კი, ბარსელონას მიერ ფერან ტორესის 100 მილიონ ევროზე ძვირად გაყიდვაა.

გამოდის, რომ თუ ბარსას დამატებით 10 მილიონის გადახდა მოუწევს, ესე იგი, ტრანსფერი ძალიან წარმატებული ყოფილა.

მანჩესტერიდან, მაგრამ უკვე იუნაიტედიდან ბარსელონა 2 ფეხბურთელის გადაბირებას შეეცდება.

ბარსა ხუან მატათი დაინტერესდა.

33 წლის ფეხბურთელს მანჩესტერულ კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მომავალ ზაფხულს ეწურება და თავისუფალი აგენტი ხდება, ამიტომ ესპანურ გრანდს ხუანთან წინასწარი კონტრაქტის შეთანხმება უკვე მომდევნო თვეში შეუძლია.

ესპანელებს ფინანსური პრობლემები აქვთ, ამიტომ ისინი ხუან მატას სატრანსფერო ფასისა და ხელფასის გადახდას ვერ შეძლებენ. სავარაუდოდ, ბარსელონა მომავალ ზაფხულს დაელოდება, რომ ესპანელი ნახევარმცველის უფასოდ დამატება შეძლოს.

ბარსელონელები იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე საკუთარი რიგების გაძლიერებას ედინსონ კავანით გეგმავს.

ესპანური პრესის ცნობით, კატალონიურმა კლუბმა 34 წლის ურუგვაელთან წელიწადნახევრიან კონტრაქტზე უკვე მიაღწია შეთანხმებას. მაგრამ არის ერთი პრობლემა, „კამპ ნოუს“ მესვეურებს სურთ, რომ ფეხბურთელი მათ თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდეს.

გამომდინარე აქედან, კატალონიელების მიზანია, რომ ინგლისურ გრანდმა კავანის კონტრაქტი გაუწყვიტოს, რაც ამ ეტაპზე რეალობას ნამდვილად მოკლებულია.

ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ნამდვილად არ არსებობს ნიშნები, რომ „წითელი ეშმაკები“ ასეთ ვარიანტს მოიწონებენ.

შედეგები

22 დეკემბერი
ფეხბურთი

ინგლისი. ღიგის თასი

ლივერპული-ლესტერი 3:3 (5:4პ)
ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 2:1
ბრენტფორდი-ჩელსი 0:2

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

გრანადა-ატლეტიკო 2:1
ბილბაო-რეალი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	19	14	4	1	41-16	46
2.სევილია	18	11	5	2	29-13	38
3.ბეტისი	18	10	3	5	32-21	33
4.რაიო	18	9	3	6	26-18	30
5.ატლეტიკო	18	8	5	5	29-22	29
6.სოსიედადი	18	8	5	5	20-20	29
7.ბარსელონა	18	7	7	4	29-22	28
8.ვალენსია	18	7	7	4	30-27	28
9.ვილიარეალი	18	6	7	5	26-20	25
10.ბილბაო	19	5	9	5	17-16	24
11.ესპანიოლი	18	6	5	7	20-21	23
12.გრანადა	18	5	7	6	23-26	22
13.ოსასუნა	18	5	7	6	17-22	22
14.სელტა	18	5	5	8	20-22	20
15.მალიორკა	18	4	8	6	17-27	20
16.ხეტაფე	18	3	6	9	12-20	15
17.ელჩე	18	3	6	9	18-27	15
18.ალავესი	18	4	3	11	15-29	15
19.კადისი	18	2	8	8	15-31	14
20.ლევანტე	18	0	8	10	19-36	8

იტალია. სერია ა

ვენეცია-ლაციო 1:3
სასუოლო-ბოლონია 0:3
ვერონა-ფიორენტინა 1:1
ინტერი-ტორინო 1:0
რომა-სამპდორია 1:1
ნაპოლი-სპეცია 0:1
ემპოლი-მილანი 2:4

სატურნირო ცხრილი:

1.ინტერი	19	14	4	1	49-15	46
2.მილანი	19	13	3	3	41-22	42
3.ნაპოლი	19	12	3	4	35-14	39
4.ატალანტა	19	11	5	3	38-24	38
5.იუვენტუსი	19	10	4	5	27-17	34
6.რომა	19	10	2	7	31-21	32
7.ფიორენტინა	19	10	2	7	34-25	32
8.ლაციო	19	9	4	6	39-34	31
9.ემპოლი	19	8	3	8	30-34	27
10.ბოლონია	19	8	3	8	27-31	27
11.ტორინო	19	7	4	8	23-19	25
12.ვერონა	19	6	6	7	34-32	24
13.სასუოლო	19	6	6	7	30-31	24
14.უდინეზე	18	4	8	6	26-28	20
15.სამპდორია	19	5	5	9	27-35	20
16.ვენეცია	19	4	5	10	18-34	17
17.სპეცია	19	4	4	11	19-39	16
18.ჯენოა	19	1	8	10	19-37	11
19.კალიარი	19	1	7	11	17-40	10
20.სალერნიტანა	18	2	2	14	11-42	8

საფრანგეთი. ღიგა 1

ბორდო-ლილი 2:3
ლიონი-მეცი 1:1
ლორიანი-პსჟ 1:1
მარსელი-რეიმსი 1:1
მონაკო-რენი 2:1
მონპელიე-ანჟე 4:1
ნიცა-ლანსი 2:1
სტ.ეტიენი-ნანტი 0:1
ტრუა-ბრესტი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	19	14	4	1	39-17	46
2.ნიცა	19	10	4	5	29-17	33
3.მარსელი	18	9	6	3	26-15	33
4.რენი	19	9	4	6	34-18	31
5.მონპელიე	19	9	4	6	33-24	31
6.მონაკო	19	8	5	6	29-23	29
7.ნანტი	19	8	4	7	25-23	28
8.ლილი	19	7	7	5	26-26	28
9.ლანსი	19	7	6	6	33-28	27
10.სტრასბურგი	18	7	5	6	34-24	26
11.ანჟე	19	6	7	6	26-27	25
12.ბრესტი	19	6	7	6	26-28	25
13.ლიონი	18	6	7	5	26-26	24
14.რეიმსი	19	5	8	6	22-22	23
15.ტრუა	19	4	5	10	18-28	17
16.კლერმონი	18	4	5	9	20-32	17
17.ბორდო	19	3	8	8	30-43	17
18.მეცი	19	3	7	9	23-39	16
19.ლორიანი	19	3	7	9	15-31	16
20.სტ.ეტიენი	19	2	6	11	17-40	12

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-ნაიმეგენი 0:1
ჰერენვენი-ფეინოორდი 0:3
ერაკლესი-კამბური 1:1
აიაქსი-ფორტუნა 5:0
უტრეხტი-ტვენტე 1:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.ჯონსონი-როსი 1:2
სტ.მირენი-სელტიკი 0:0
ჰიბერნიანი-აბერდინი 1:0

თურქეთი. სუპერლიგა

სიცასი-რიზე 1:1
ჰატაი-ქონია 1:3
გაზიანთები-ალანია 2:1
ქარაგუმრუქი-ფენერბახჩე 1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ბიჭები და გოგონები კალენდრისთვის გაშიშვლდნენ

შოტლანდიაში ფერმერმა გოგონებმა და ყმაწვილებმა დედიშობილა გადაიღეს ფოტოსურათები ქველმოქმედებისთვის ფულის შესაგროვებლად.

საქველმოქმედო კალენდრისთვის გადაღებაში მონაწილეობა ლოტიანის და პიბლშირის ახალგაზრდა ფერმერების კლუბის წევრმა გოგონებმა და ბიჭებმა მიიღეს. ისინი დედიშობილა პოზირებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასთან, ასევე ძროხების და ცხენების გარემოცვაში, ინტიმურ ადგილებზე კი ქუდები და ტომრები ჰქონდათ აფარებული.

კალენდრის გაყიდვიდან შემოსული თანხის 80 პროცენტს მიიღებს საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ ადამიანებს ეხმარება და რომელთა საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას უკავშირდება და ფინანსურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას საჭიროებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● საახალწლო აქცია – სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გიორგი ჩაკვეტაძეს გუნდის მოძებნა გაუჭირდება

საქართველოს ნაკრების მომავალი იმედი გიორგი ჩაკვეტაძე 7 ნოემბრის შემდეგ ბელგიის ჩემპიონატის სამატჩო განაცხადში არ ყოფილა. მხოლოდ ერთხელ ათამაშა მწვრთნელმა კონფერენსლიგაზე ესტონურ ფლორასთან.

ბელგიურმა მედიამ 22 წლის ფეხბურთელისა და მის ირგვლივ არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.

აი, რას წერენ ბელგიელები:

– სეზონის კარგად დაწყების შემდეგ გიორგი ჩაკვეტაძე გენტის შემადგენლობიდან გაქრა. ჰეინ ვანჰეზებრუკი უარს ამბობს 22 წლის ტოპტალანტის გამოყენებაზე. მიმდინარე სეზონში, გიორგი სწორ გზაზე დადგა და შანსი ჰქონდა, რომ ძველებურად ათამაშებულიყო. ელეგანტური და ტექნიკური შემტევი ნახევარმცველი უკვე 4 წელია ბელგიის ჩემპიონატში ერთ-ერთ უდიდეს ტალანტად მიიჩნევა, მაგრამ სხვადასხვა და ხანგრძლივმა ტრავმებმა მას სრული პოტენციალის ჩვენებაში ხელი შეუშალა. თუმცა, ამ სეზონში „ჩაკს“ შეეძლო საკუთარი კვალი დაეტოვებინა გენტში, მიმდინარე სეზონი მისთვის ახლებურად დაიწყო.

ვანჰეზებრუკი ქართველს სათამაშო დროს ეტაპობრივად უზრდიდა, რაც ტრავმისადმი მიდრეკილების გათვალისწინებით, რეაბილიტაციისთვის სწორი გზა იყო. ჩაკვეტაძემ ამ სეზონში პირველად მეხელენთან 21 წუთი შეცვლაზე ითამაშა და ამ მცირე დროში საკუთარი კლასის დემონსტრირება მოახერხა.

– მას ჯერ კიდევ შეუძლია თამაში, – თქვა ვანჰეზებრუკმა მატჩის შემდეგ. მალევე მწვრთნელმა გუნდის დიდი, მაგრამ მყიფე ტალანტი ძირითადში ადგილით დააჯილდოვა.

ასე იყო ანდერლეხტთან მატჩში, ასევე სერკლ ბრიუგესთან და შემდეგ ჩაკვეტაძე გენტის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა.

მისი პროგრესი **ვანჰეზებრუკს** არ გამორჩენია:

– საკუთარ სტანდარტს მხოლოდ გიორგი ჩაკვეტაძემ მიაღწია. გიორგის ჩემს გუნდში საუკეთესო ფეხები აქვს, მისი დონე კვლავ ამაღლდება, ფიზიკურად კიდევ უფრო გაძლიერდება, რაც კიდევ უფრო მეტი სვლის საშუალებას მისცემს.

ეს სიგნალები სერიოზულ სტიმულს ნიშნავდა ჩაკვეტაძისა და გენტისთვის.

გეხსომებათ, 2018 წელს გენტის სპორტულმა დირექტორმა **მიშელ ლუვაჟიმ** უარი თქვა ტოტენჰემის სატრანსფერო შეთავაზებაზე:

– ამ ზაფხულს გიორგიში 15 მილიონიც რომ გადაგვიხადონ, არ გავუშვებთ. ჩვენი განზრახვაა, რომ ის გენტში კიდევ 1 ან 2 წელი შევინარჩუნოთ.

სწორედ ამ ჩაკვეტაძეს ელოდნენ მიმდინარე სეზონის სტარტზე რამდენიმე კარგი თამაშის შემდეგ, მაგრამ გიორგის რეგრესი დაეწყო. ვანჰეზებრუკი სულ უფრო ხშირად ტოვებდა თავის 10 ნომერს განაცხადს მიღმა, რის შედეგადაც ჩაკვეტაძე შემადგენლობიდან გაქრა. გენტის ბოლო 6 მატჩში ბელგიის ჩემპიონატის ეგიდით ის ერთხელაც არ ყოფილა განაცხადში და ეს ძალიან შემაშფოთებელია.

ჰეინ ვანჰეზებრუკი:

– თუ გიორგი შემადგენლობაში არაა, ეს მხოლოდ მისი ბრალია. ჩაკვეტაძეს აქვს ის თვისებები, რომ ყოველთვის განაცხადში იყოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა ის საქართველოშიც უდიდეს ტალანტად მიიჩნევა, მაგრამ არც იქ უთამაშია. იქაც ძალიან ცოტას ვარჯიშობდა. შემდეგ თუ ბელგიაში ბრუნდები და ისევ არაფერს აკეთებ, პრობლემებს უკვე თავად იქმნი.

ბოლო სანაკრებო პაუზის დროს ჩაკვეტაძე დიდი სამუშაო ეთიკით არ გამოირჩეოდა, რაც არ მოეწონა გენტის თავკაცს.

ამბობენ, რომ ჩაკვეტაძე გენტში ბოლო კვირებს ატარებს, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია, რომელი კლუბია მზად მის გადასაბირებლად. მიუხედავად იმისა, რომ ჩაკვეტაძეს ვარსკვლავის პოტენციალი აქვს, მისი ტრავმებისადმი მიდრეკილება და სამუშაო ეთიკის ნაკლებობა დიდი მინუსია დაინტერესებული კლუბებისთვის. ამიტომ, რთული იქნება ახალი კლუბის პოვნა და ძალიან დიდი განსხვავებაა 2017 წლისგან, როცა ევროპული ტოპკლუბების რიგი ედგა. მაშინ ლევერკუზენი, ბაიერნი, ტოტენჰემი, ბორნმუთი და ჰოფენჰაიმი იყვნენ დაინტერესებული, მანჩესტერ იუნაიტედმა კი, 6 მილიონ ევროიანი შეთავაზებაც გააკეთა. თუმცა, მისი ყიდვა მაინც გენტმა მოახერხა, რადგან დინამო თბილისთან შეთანხმებული იყო.

შეგახსენებთ, რომ გიორგი ჩაკვეტაძემ მიმდინარე სეზონში გენტის მაისურით ყველა ტურნირზე 15-ჯერ ითამაშა, 1 გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი გააკეთა. 22 წლის ქართველ ფეხბურთელს ბელგიურ კლუბთან კონტრაქტი 2023 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. ის გენტის ღირსებას 2017 წლის ზაფხულიდან იცავს.

ავთანდილ ასათიანი: „ევროპირველობისთვის ფორმის პიკში ვიქნებით“

საქართველოს ფუტსალის ნაკრები 2022 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება. ავთანდილ ასათიანის გუნდმა კიდევ ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა – ყირგიზეთის ნაკრებს უმასპინძლა.

თუ ჩვენებმა ამას წინათ სერბეთს ერთი მოუგეს (4:3) და ერთიც ფრედ (1:1) ითამაშეს, აზიელებთან ერთი წააგეს, მეორე ფრე დაამთავრეს.

პირველი შეხვედრა სტუმრებმა 2:1 მოიგეს. არადა, თავიდან საქართველოს ნაკრები დაწინაურდა – მე-4 წუთზე ირაკლი თოდუამ გაიტანა. სტუმრებმა სიტუაცია პირველივე ტაიმში შეცვალეს და შოხრუხ მახამადამინოვის დუბლით თამაში ყირგიზეთმა მოიგო.

საქართველომ მეორე მატჩიც კარგად დაიწყო და უკვე მეორე წუთზე არჩილ სებისკვერაძემ ანგარიშის გახსნა, მაგრამ ტაიმის ბოლო წუთზე გიორგი ღავთაძემ საკუთარ კარში შეაგდო და გუნდები შესვენებაზე თანაფარდობით გავიდნენ.

მეორე ტაიმში აზიტ ისაბეკოვმა ყირგიზეთის ნაკრები წინ გაიყვანა, მაგრამ მასპინძლებმა ერთ წუთში ნიკოლოზ კურტანიძის გოლით გაათანაბრეს და მატჩიც ასე მორჩა – 2:2.

ახლა ავთანდილ ასათიანის გუნდი მზადებას გააგრძელებს, 15-16 იანვარს კი, ტაჯიკეთთან კიდევ ორ საკონტროლო მატჩს გამართავს, ხოლო 22 იანვრიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, სადაც ჯგუფში მეტოქეებად ესპანეთი, აზერბაიჯანი და ბოსნია ეყოლება.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა განვლილი მატჩები შეაფასა და ევროპის ჩემპიონატისთვის გაცილებით კონკურენტუნარიან გუნდს დაგვპირდა.

ავთანდილ ასათიანი:

– კარგი იყო ეს 4 მატჩი. ბევრი დადებითი გამოჩნდა, გვქონდა უარყოფითი მხარეებიც. თუმცა, მთლიანობაში, ევროპის ჩემპიონატის წინ ასეთი ტესტ-მატჩები ძალიან კარგია, რადგან ამ თამაშებში მინდოდა გამოჩენილიყო ჩვენი პლუსები და მინუსები. ექვს დღეში ოთხი მატჩი გვქონდა, ამიტომ შემადგენლობაც გაფართოებული მყავდა გამოძახებული და როტაციაც ისე გადავანაწილეთ, რომ სათამაშო დრო ყველას მისცემოდა, რადგან მწვრთნელებს დაგვენახა, თუ ვინ და როგორ მუშაობს ამ ეტაპზე. ამ მხრივაც კარგად ვიმუშავეთ, რადგან ვინც გვაინტერესებდა, ყველა ვნახეთ საქმეში. მახარებს ის, რომ გუნდში არის კონკურენცია. კარგია, რომ ვქმნით ბევრ მომენტს, ცუდია, რომ ვერ ვახდენთ მის რეალიზაციას. ასე რომ, სამუშაო ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს. იანვარში კიდევ გვაქვს სპარინგები, სადაც უკვე იმ ჩამოყალიბებული გუნდით ვითამაშებთ, რომლითაც ევროპირველობაზე უნდა წავიდეთ. ვფიქრობ, რომ ზუსტად ამ დროს უნდა ვიყოთ ფორმის პიკში.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრები არსებობის განმავლობაში პირველად ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს. კონტინენტის პირველობა 19 იანვრიდან 6 თებერვლის ჩათვლით ნიდერლანდებში გაიმართება. ავთანდილ ასათიანის გუნდი პირველ მატჩს 22 იანვარს აზერბაიჯანის წინააღმდეგ გამართავს. აზერბაიჯანელების გარდა, ჩვენს ჯგუფში ესპანეთისა და ბოსნია-ჰერცეგოვინის ეროვნული გუნდებიც არიან.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

ჟურნალისტი ნანა სულავა თანაუგრძნობს მუსიკოს ნინო ღიბრაძეს დედის, ღირსეული ქართველი ქალის, უკეთილშობილესი ადამიანის

ჯულიეტა ღიბრაძის

გარდაცვალების გამო.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

დალი ზაქარიაშვილი-ჩიკვაიძის მონატრება

ჩვენო დალი, 6 წელიწადი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. გაუსაძლისია ყველასთვის ამ ტკივილის მოშუშება. ვერანაირი დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილსა და თავზარდაცემას, რასაც უშენობა ჰქვია. დრო გადის, ტკივილი არ ცხრება. დრო მკურნალიაო, მაგრამ რაც დრო გადის, მწუხარება და ტკივილი უფრო გვირთულდება. გვენატრება შენი სახე, ღიმილი, ხმა. გაუსაძლისია ჩემთვის – შენი მეუღლისთვის უშენობა, თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, შენს გვერდში რომ ვიყავი. კარგია, რომ ვერ ხედავ ჩემს ყოველწამიერ ტანჯვას. შენ რომ იცოდე ჩემი გაუსაძლისი მდგომარეობა, მეორედ გაგისკდებოდა გული. სულ შენს მოლოდინში ვარ. ვიხსენებ შენთან გატარებულ წლებს, თვეებს, დღეებსა და წუთებსაც კი.

25 დეკემბერი ხომ შენი დაბადების დღეა, რომელსაც უშენოდ აღვნიშნავთ არა საზეიმოდ, არამედ მგლოვიარებით. შენი მოულოდნელი წასვლით გაგვანადგურე. შენ იყავი შესანიშნავი დიასახლისი, სტუმართმოყვარე. ყველას გვენატრება შენი სათნო ღიმილი. გვაკლიხარ, გვიმძიმს უშენობა – განსაკუთრებით მოულოდნელად მიტოვებულ შენს უბედურ მეუღლეს. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, დრო შენს სიყვარულს არ გამიქარვებს. შენს ხსოვნას დავიწყება არ უწერია. ჩემი გული, ჩემო უსაყვარლესო დალი, მკვდარია უშენოდ. მოვდივარ შენს საფლავთან მათთან ერთად, ვისაც უყვარდი და დღესაც უყვარხარ. ცრემლით და ყვავილებით, სანთელ-საკმეველით. ვეფერები შენს მომღიმარ სურათს და ვამბობ, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები და გვაკლიხარ.

შენი გარდაცვალებით დამწუხრებული შენი დიდი ოჯახი და განსაკუთრებით შენი მეუღლე ომარ ჩიკვაიძე



როინ შენგელიას მონატრება

გავიდა სევდით, გულისტკივილით გაჯერებული ექვსი წელი. ჩუმად, უხმაუროდ წახვედი. ჯიხაშკარის სასაფლაოს მკვიდრი გახდი.

უფალმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

სანთელ-საკმეველი იყოს შენი გზის მანათობელი.

ჩვენი მოუშუშებელი ტკივილი ხარ. გვენატრები!

მეუღლე მანანა, შვილები მიხეილი, როინი და ლენიკო, ძმა რეზო, ძმისშვილები ოჯახებით

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. დედათა მონასტერი ფარავნის ტბის მახლობლად; 2. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 3. უსქესო, ვეგეტატიური გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 5. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 6. ხერხემლის გამრუდება; 9. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ადიგენის რაიონში; 10. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში; 11. მრავალხმიანობა მუსიკაში; 14. ქართული ჟურნალი; 16. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 18. გალავნით შემოსაზღვრული ძველი თბილისის უბანი.

თარაზულად: 1. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 4. ალპინისტთა ლაშქრობა რამდენიმე მწვერვალის დალაშქვრით; 7. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 8. წყლის ბინადართა საერთო სახელწოდება, რომელთაც დინების საწინააღმდეგო მიმართულებით შეუძლიათ გადაადგილება; 10. ბულგარელი ნათელმხილველი ქალი; 13. ზღვა თურქეთისა და საბერძნეთის სანაპიროებთან; 15. ძვირფასი ქვა, ძალზე მტკიცე მინერალი; 17. დენის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 19. ინდური იგავ-არაკების კრებული; 20. ოსური ცეკვა; 21. ბრაზილიური არაყი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. შენგელია; 2. გლუკოზა; 3. წინდა; 4. მურმანი; 5. ჯანდარა; 10. ვესტერნი; 11. სერვანტესი; 12. ალიკაპი; 15. პოლიფონია; 16. ფიესტა; 17. ატლანტა; 20. ტოლმა.

თარაზულად: 6. მეგალომანია; 7. თურნავა; 8. ატაკამა; 9. ალმაზი; 13. კაფე; 14. ცერული; 18. აკვალანგი; 19. ატაშე; 21. ზონდი; 22. ხარები; 23. სამთავისი; 24. ტრაქტატი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პუმა; 2. ელესა; 3. გრიგი; 5. სოკერი; 6. ლაშარელა; 9. ტროპოსფერო; 10. ჰართფილდი; 11. იაკიტორია; 14. ლია; 16. შაპიტო; 18. სიტე.

თარაზულად: 1. პლზენია; 4. მისტრალი; 7. ფეტიში; 8. გეიზერი; 12. ლორია; 13. ილუზია; 15. ათლეტი; 17. უფა; 19. ბურგომისტრი; 20. სოტბი; 21. მერანო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

24 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0878

ევრო — 3.4976

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1417

100 რუსული რუბლი — 4.2085

ამინდის პროგნოზი 24 დეკემბრისათვის

რუბინი კვარაცხელიაში 20 მილიონს ითხოვს

ყაზანის რუბინი ხვიჩა კვარაცხელიას გაყიდვას არ აპირებს, განსაკუთრებით ეს ზამთრის სატრანსფერო ფანჯარას ეხება. ყაზანელები მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაიფიქრებენ, თუ ვინმე კვარაცხელიაში 20 მილიონს გადაიხდის. ახალი ამბავი არ არის, რომ ხვიჩას რუბინის დატოვება და კარიერის სხვა გუნდში გაგრძელება სურს. მისი შეძენით რამდენიმე ინგლისური კლუბი იყო დაინტერესებული.

დანი ალვეშის დებიუტი 5 იანვარს შედგება

ბარსელონას ბრაზილიელი მცველი დანი ალვეში შესაძლოა მოედანზე 5 იანვარს ვიხილოთ, როდესაც ბარსელონა ესპანეთის თასზე ლინარესს დაუპირისპირდება.

ალვეშს ოფიციალურად 2 იანვარს დაარეგისტრირებენ და ამის შემდეგ მას უკვე ექნება თამაშის საშუალება.

ალვეში ბარსელონას დეკემბრის დასაწყისში შეუერთდა და მასზე ხავი დიდ იმედებს ამყარებს.

აზარი შესაძლოა ლილში დაბრუნდეს

მადრიდის რეალის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარი შესაძლოა, სამშობლოში, კერძოდ კი, თავის ყოფილ გუნდში ლილში დაბრუნდეს, სადაც დაიწყო კიდეც მისი კარიერა.

ახალი ამბავი არ არის, რომ რეალში აზარის თამაშით უკმაყოფილები არიან და მისი გაყიდვა სურთ, თუმცა ჯერ ყველაფერი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

თვითონ აზარი თავის მომავალზე კომენტარს არ აკეთებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ქართველი ტურისტი ხედავს, რომ ორი არაბი ხალიჩას ჯოხს ურტყამს და ეკითხება:

– რა იყო, არ იქოქება?

●●●

ქალიშვილი დედას ქორწილის პირველი ღამის შთაბეჭდილებას უზიარებს:

– ქმარი ძალიან გამინაწყენდა...

– რატომ?

– მხოლოდ ერთი ფრაზის გამო!

– რა უთხარი ასეთი?

– შენც მანდ?!

●●●

ქმარი კომპიუტერთან ზის. ცოლი გარშემო უტრიალებს და ეხვეწება, რომ კომპიუტერთან დასვას.

– რაიმე სხვა გასართობი მოძებნე, – ეუბნება ქმარი.

– სხვა რა უნდა გამოვძებნო, როდესაც ჩემი ორი გასართობი: კომპიუტერი და ქმარი, ერთმანეთს ეთამაშება?

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რაიმე ეროტიკული ფანტაზიები თუ მოგდის თავში?

– რა თქმა უნდა.

– მაინც რა, მომიყევი.

– სექსი ეგზოტიკურ კუნძულზე პალმების ქვეშ, ტროპიკულ ღამეს. ახლოს ზღვის ხმაური ისმის, ცა ვარსკვლავებითაა მოჭედილი. ირგვლივ უცნობი მცენარეების სურნელი ტრიალებს, ღვინისგან თავბრუ მესხმის...

– და ამ დროს მე სად ვარ, ზევიდან ვარ თუ ქვევიდან?

– შენ, სახლში ხარ.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემს ცოლს ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი ვუყიდე და უკვე ორი კვირაა, არ მელაპარაკება.

– კი მაგრამ, რატომ?

– ასეთი შეთანხმება გვქონდა...

სალომე ჭაჭუა ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ მიიწვიეს

მოცეკვავე სალომე ჭაჭუა ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მონაწილეა.

ინფორმაცია ამის შესახებ სალომემ თავის ათასობით გულშემატკივარს ინტერნეტით თვითონვე ახარა:

– ნება მომეცით, წარმოგიდგინოთ ჩემი თავი, როგორც პროფესიონალი მოცეკვავე ირლანდიის „ცეკვავენ ვარსკვლავებში“.

დაე, შეიქმნას თქვენთვის დაუვიწყარი შოუ!

დადიანების სასახლეში ევროპული მეჯლისის ტრადიცია აღდგება

საუკუნოვანი პაუზის შემდეგ, დადიანების სასახლეში ევროპული მეჯლისის ტრადიცია აღდგება.

ინფორმაცია ისტორიკოსმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:



– საუკუნოვანი პაუზის შემდეგ დადიანების სასახლეების ტერიტორიაზე აღდგება ევროპული მეჯლისის ტრადიცია. ამ ტრადიციის ფარგლებში სასახლის ტერიტორიაზე დაგეგმილია მასშტაბური ვიდეოგადაღებები, აღნიშნული ვიდეოგადაღებები შეეხება როგორც დედოფლისეულ, ასევე ნიკოსეულ სასახლის წინ მდებარე პარკს. გადაღებისა და წარმოდგენების ნაწილი დაგეგმილია უფლისწულ ნიკოს სასახლეში.

მოსამზადებელი სამუშაოების დაწყებასთან დაკავშირებით 22-28 დეკემბერს მუზეუმი დაიხურება დამთვალიერებელთათვის.

საშობაოდ ზუგდიდში ულამაზესი სანახაობა გელით.

მარო თარხნიშვილის 130 წლის იუბილესთვის წიგნი გამოიცა

პირველი ქართველი ლოტბარი ქალის, მარო თარხნიშვილის დაბადებიდან 130 წლის იუბილე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივში გამოფენითა და წიგნის პრეზენტაციით აღინიშნა.

ღონისძიება საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ ბუბა ლომუაშვილმა და საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნეს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მარო თარხნიშვილის პირად ფონდში დაცული მასალა – მისი მოგონებები, წერილები, ფოტოები, საკონცერტო აფიშები და პროგრამები, შემოქმედებით თუ პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

ღონისძიებაზე მკითხველს წარედგინა „მარო თარხნიშვილის მოგონებების“ მეორე გამოცემა. მოგონებები 1909-1968 წლებს მოიცავს. მემუარების ავტორი საინტერესო ამბებს გვიყვება საქართველოს სამი პერიოდის – მეფის რუსეთის დროინდელი, პირველი დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა დროის შესახებ. წიგნი გამოსაცემად მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ნინო ბადაშვილმა.

მარო თარხნიშვილის 130 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა 2022 წლის 31 იანვრამდე გაგრძელდება.

მისი დათვალიერება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

მთვრალმა თუთიყუშებმა ქალაქის მცხოვრებლები დაატერორეს

დასავლეთ ავსტრალიის შტატის ქალაქ ბრუმის მცხოვრებლები თუთიყუშებს უჩივიან, რომლებიც, მათი მტკიცებით, ფერმენტირებული მანგოს ჭამის შემდეგ დათვრნენ და მოსახლეობას ატერორებენ.

კიმბერლის რეგიონში სეზონის ბოლოს მანგოს ჩამოცვენილმა ნაყოფმა ლპობა და ფერმენტირება დაიწყო. მანგო, რომელიც ბევრ შაქარს შეიცავს, გამოიმუშავებს ალკოჰოლს. ნაყოფი ფრინველებს იზიდავს, რის გამოც რეგიონში მთვრალი თუთიყუშების თავმოყრა ხდება. წითელფრთიანი თუთიყუშები ხარბად შეექცევიან ნაყოფის მიერ გამოყოფილ ალკოჰოლიან წვენს.

ზოგიერთი ფრინველი ამის შედეგად იღუპება: ისინი მტაცებლების ადვილი ნადავლი ხდებიან. ვეტერინარებმა ექვს თუთიყუშს უმკურნალეს, რომლებიც მათ ადგილობრივებმა უცნაური ქცევის გამო მიუყვანეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯემალ ჭკუასელი მახათას პანთეონში დაკრძალეს

ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი ჯემალ ჭკუასელი მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ლოტბართან გამომშვიდობება ნებისმიერ მსურველს სამების საკათედრო ტაძარში შეეძლო. ჯემალ ჭკუასელს პატივი მიაგეს მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა, სხვადასხვა ანსამბლების წარმომადგენლებმა, პოლიტიკოსებმა და რიგითმა მოქალაქეებმა.

როგორც მისი კოლეგები აღნიშნავენ, ჯემალ ჭკუასელმა მთელი ცხოვრება ქართულ ხალხურ სიმღერას მიუძღვნა და ათასობით ახალგაზრდა ქართულ მრავალხმიანობას აზიარა, ამიტომაც უზომოდ დიდია მისი ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

24 დეკემბრისათვის

ვერძი – რთული დღეა. აუცილებლად განმარტოვდით და დაისვენეთ, თან საკუთარ შეცდომებზე იფიქრეთ. **კურო** – პასიურად ხართ. მოთმინება გმართებთ. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **ტყუპები** – პოზიტიური პერიოდი გაქვთ. იდეების რეალიზაციაში ხელი არ გეშლებათ. მივლინებები, ქალაქგარეთ გასვლა რეკომენდებულია. **კირჩხიბი** – მრავალ ხელსაყრელ პროექტს დიდი ძალისხმევის გარეშე ხორცს შეასხამთ. ნუ დაივიწყებთ მათ, ვინც ადრე დახმარების ხელი გამოგიწოდათ. **ლომი** – ვარსკვლავების კეთილგანწყობა ენერგიით აღგავსებთ. ნებისმიერ რთულ სიტუაციას თავს დააღწევთ. **ქალწული** – თქვენი კეთილდღეობისათვის ოჯახში არსებულ ემოციურ ფონს დიდი მნიშვნელობა აქვს. პირად ცხოვრებაში იღბლიანი პერიოდი გაქვთ. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. ახლობელთან უსიამოვნო საუბარი გელით. **ღრიანკალი** – გაგიმახვილდებათ ინტუიცია. ხალხმრავალ ადგილებს ერიდეთ. დაისვენეთ და გაერთეთ. **მშვილდოსანი** – მოსალოდნელია საინტერესო ნაცნობობა, რომანტიკული პაემანი. თქვენი ძალისხმევა სასურველ ნაყოფს გამოიღებს. **თხის რქა** – დეპრესიული პერიოდი გაქვთ. კარგი იქნება განმარტოება და საკუთარ თავთან მარტო დარჩენა. **მერწყული** – მოვლენები თქვენთვის მოულოდნელი მიმართულებით განვითარდება. ძალზე ემოციური და დაძაბული დღეა. ემოციები მოთოკეთ. **თევზები** – მეგობრებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. მთავარია, სულიერი წონასწორობა შეინარჩუნოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. მშრომელი, დიდად ნაჯაფი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება; 2. ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 3. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 4. ხელის კუნთების სავარჯიშო სპორტული იარაღი; 5. ქართული სანადიმო სიმღერა; 10. ბულვარული ჟურნალ-გაზეთების სახელწოდება აშშ-ში; 11. ხელოვნური წყალსაცავი აზერბაიჯანში; 12. ქართული ხალხური ნაციონალური ტანსაცმელი; 15. ამერიკული ატომური წყალქვეშა ნავების სერია; 16. ტყეში ბინადარი ეკლიანი ცხოველი; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 20. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ინგლისური ჯიშის ძაღლი.

თარაზულად: 6. მდინარე მადრიდში; 7. თაფლისაგან მომზადებული მათრობელა სითხე; 8. მიწის ნაყოფიერების ღვთაება სვანურ მითოლოგიაში; 9. ქართული ნაციონალური კერძი; 13. ლატვიის დედაქალაქი; 14. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 18. მარცვლეულის შესანახი დიდი ნაგებობა; 19. აშშ-ის ლიგაში მოთამაშე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი; 21. ტაილანდის ისტორიული სახელწოდება; 22. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 23. ოსური ხაჭაპური; 24. სუფრული სიმღერა იტალიურ ოპერაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა